

1951

№1 იანვარი

1951  
ქართული  
ბიბლიოთეკა



ქ.ი.ნ.ე.ი



# პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
შოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 1 იანვარი 1951  
გამომცემლობა  
„კომუნისტი“  
ფელიწალი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



ხალსე სრუნვაში დალიე დღენი,  
ხალსის მამაუ და დიდო ბელადო,  
შენ არ მომკვდავსარ, შენ სცოცხლობ, ლენინ,  
რომ ხალსის ეოფა კულაუ აფერადო.

გვასწავლე ბრძოლა, შეტევა მძლავრი,  
ხანძარს უნთებდი შედგრად უკუნეთს;  
შენი ნათელი სიტევა და ასრი  
დღეს გამარჯვების ჰანგებს გუგუნებს.

შენი ანდერძის სიტევა ეოველი  
საქმედ აქცია გმირის მარჯვენამ,—  
რადგანაც არის განუყოფელი  
დიდი სტალინი და გამარჯვება.

ი. რ. შაველიანი





5328  
137287

დადგა, ბავშვებო, ახალი, 1951 წელი. ჩვენი დიადი სამშობლო გახდა კიდევ ერთი წლით უფროსი, იგი გახდა კიდევ უფრო მდიდარი, ძლიერი, ლამაზი. ყოველი ახალი წელი, ასე ბედნიერად და სიხარულით გათენებული ჩვენს ქვეყანაში, — მაღლიერია თავისი წინა წლისა. გასულმა წელმა ხომ ჩვენ მრავალი, მრავალი სიკეთე მოგვიტანა. აბა, მიმოაგლეთ გონების თვალი გასულ, 1950 წელს! — რომელ საქმეში არ ისახელა მან თავი, სოციალისტური მშენებლობის რომელ უბანზე არ შეიტანა მან თავისი დიდი, გრანდიოზული წვლილი! რამდენი ახალი ფაბრიკა და ქარხანა, რამდენი სკოლა, ომისაგან დანგრეული რამდენი სოფელი, დაბა და ქალაქი აშენდა და გამშვენიერდა გასული წლის მანძილზე, რამდენი საუცხოო, ჩვენი გრძნობისა და გონების წარმატაცი ვიგნე დაიწერა, რამდენი სპორტული რეკორდები და სხვა სახის წარმატებანი ეკუთვნის იმ წელს!

ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი წელი, დაწყებული საბჭოთა წლებს შორის ყველაზე უფროსი და გამართაგამირი წლიდან — 1917 წლიდან, — წარმოადგენს დიადი ბრძოლის, გამარჯვებისა და მშენებლობის სახელმძღვანელო წელს. აბა წარმოიდგინეთ, ერთიმეორის მხარდამხარ, დევგამირი ძმებთან ჩამწყვრივებული სოციალისტური წლები! — რა დიადი, რა გრანდიოზული, რა წარმატაცია მათი ბიოგრაფია. თითოეული მათგანი ამალღებდა კედლებს იმ ძღვევამოსილი შენობისას, რომელსაც ჰქვია კომუნისმი. ჩვენ კიდევ ერთი წლით მივუახლოვდით კომუნისმს — ჩვენი ხალხის სანუკვარად საოცნებო საზოგადოებრივ წყობილებას.

გასულმა, 1950 წელმა უდიდესი წვლილი შეიტანა კომუნისმის მშენებლობის საქმეში. 1950 წელს სამართლიანად უწოდებენ კომუნისმის დიად მშენებლობათა პირველ

წელს — ამ წელს ჩვენმა ხალხმა ლენინ-სტალინის გამირული პარტიის, ბრძენი სტალინის წინამძღოლობით საძირკველი ჩაუყარა ისეთ გრანდიოზულ ისტორიულ ნაგებობებს, როგორცაა კუბიბშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურები, თურქმენეთის მთავარი არხი, კასოვკის ჰიდროელექტროსადგური, სამხრეთ-უკრაინისა და ჩრდილოეთ-ყირიმის არხები. ამ გრანდიოზულ მშენებლობათა შესახებ თქვენ უკვე იცით ჩვენი უფროსის გასული წლის მეათე ნომრიდან, რომელშიც დაბეჭდილი იყო საუბარი ამ თემაზე. 1950 წლის მიწურულს საბჭოთა მთავრობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება ვილგა-დონის სანაონო არხისა და როსტოვისა და სტალინგრადის ოლქების მიწების სარწყავი სისტემის მშენებლობის შესახებ. აბა დადებით საბჭოთა კავშირის რუკასთან და ნახეთ რა უდიდესი სამუშაოების შემცველია თუნდაც მარტო ეს მშენებლობანი, რომელნიც დაწყებული იყო ჯერ კიდევ ომამდე. ამ მშენებლობათა დამთავრებით უნდა დასრულდებოდა თეთრი, ბალტიისა და კასპიის ზღვების აზოვისა და შავ ზღვებთან შემავრთებელი სანაონო გზების რეკონსტრუქცია და მშენებლობა. ამ საქმეს ომმა შეუშალა ხელი. მაგრამ საბჭოთა მთავრობის მიერ გასული წლის 28 დეკემბერს მიღებული ახალმა ონისძიებამ ორი წლით შეამცირა ამ გრანდიოზულ მშენებლობათა ვალა.

მდიდარია, მრავალფეროვანი და წარმატაცია საბჭოთა წლებს შორის ყველაზე ახალგაზრდა — 1950 წლის ბიოგრაფია. ბევრი, ბევრი რამ ტკბილი და სასიხარულო მოუტანა ამ წელმა საბჭოთა ბავშვებს. და არა მარტო საბჭოთა ჩვეყნის, არამეოთ მთელი მსოფლიოს ბავშვებსაც. იმ წელს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა კავშირი კვლავ მტკიცედ და შეუბოვრად მეთაურობდა

საქართველოს  
პარლამენტის  
მკვლევართა



პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას უკეთილშობილესი საქმისათვის — მშვიდობისათვის. 1950 წელმა მშვიდობის განმტკიცების, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა. იმ წელს გაისმა მძლავრი ხმა მშვიდობის დასაცავად მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე, რომელიც შესდგა დემოკრატიული, თავისუფალი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში.


არ გვინდა ომი! ჩვენ გვსურს მშვიდობა, ჩვენ გვსურს ბავშვთა სიცოცხლე და ბედნიერება, ხალხთა მშვიდობა და თაისუფლება! — აი ასეთი დევიზის ქვეშ ბრძოლით ჩატარდა მთელი გასული — 1950 წელი. პროგრესული კაცობრიობის, მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე, პატროსან ადამიანთა ამ კეთილშობილურ ბრძოლას გზას უნათებს ხალხთა ბრძენი ბელადი, მამა და მასწავლებელი, მშობლიური სტალინი.

დადგა ახალი 1951 წელი! რას მოგვიტანს იგი? — შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ იგი მოგვითანს ახალ გამარჯვებებს კომუნისმის მშენებლობის საქმეში, ახალ წარმატებებს, ახალ სიხარულსა და ბედნიერებას, რადგან ჩვენ წინ მიგვიძღვის ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ბრძენი სტალინი.

მაგრამ, ბავშვებო, მორიგ წელიწადს თა-

ვისთავად არაფერი მოაქვს, იგი ციდან, უპრობლად როლი მოგვიძღვის ხოლმე როს ნამს“. ეს წელიწადიც იქნება დიდი გრანდიოზული შრომისა და გარჯის წელიწადი. ჩვენს მამებს, უფროს ძმებს და დებს კვლავ და კვლავ დაძაბული შრომა მოუწევთ, რომ ახალი, 1951 წელი კუთვნილად ჩადგეს სახელოვანი საბჭოთა წლების რიგებში. ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, მაღაროებში, საკოლმეურნეო, სოციალისტური სოფლის მინდვრებზე, სამეცნიერო ლაბორატორიებში, — სოფლად და ქალაქად, ყველგან საბჭოთა ხალხი უჩვენებს თავის ერთგულებას ბოლშევიკურ პარტიას, მშობლიურ სტალინს — ახალი წარმატებებით გაახარებს დედისამშობლოს.

თქვენ, პიონერებო და მოსწავლეებო! — თქვენ რით ასახელებთ დედისამშობლოს, რით უპასუხებთ პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის მამობრივ ზრუნვას? — ცხადია, ერთი არის თქვენი პასუხი — სამშობლოს ვასახელებთ წარჩინებული სწავლით! წელსაც შეუწელებლად, ბეჯითად ვიშრომებთ, რათა გავამართლოთ ძია ლავრენტი ბერიას დარიგება: — „მოსწავლეთა გმირობა და მამაცობა ფრიადზე სწავლა!“





ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

## ლენინის სურათი

**ს**იღო ლენინ, შენს სურათთან  
ვდგავართ და გიციქვრია,  
შენს წინაშე პიონერულ  
ფიცს ვდებთ გულის ძგერით,  
რომ დიდ ანდერძს, შენს დიდ ანდერძს  
ვიცავთ განუხრელოდ:

სწავლა, სწავლა, კიდევ სწავლა—  
გზას გვიჩვენებს ყველას.  
ჩვენ მიყვებით ძია სტალინს  
ლენინიზმის გზითა,  
გაშუქებულს კომუნიზმის  
მოკაშკაშე მზრთა.

სანდრო პული-ქერიძე



# ლენინის ძღვეამოსილი დროში



ოცდაშვიდი წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს შეწყდა კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის დიდი ლენინის გულის ცემა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში „პარტიისადმი, ყველა მშრომელისადმი“ იმ გლოვის დღეებში წერდა: „ჯერ არასოდეს მარქსის შემდეგ პროლეტარიატის დიადი განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას არ წამოუყენებია ისეთი ვიგანტური ფიგურა, როგორცაა ჩვენი განსჯივნი ბელადი, მასწავლებელი, მეგობარი“.

1924 წლის იანვრის ღირსსახსოვარ დღეებში ამხანაგმა სტალინმა ბოლშევიკების პარტიის სახელით ფიცი დადო: მაღლა გვეჭიროს და წმიდად დავიცვათ პარტიის წევრის დიადი სახელი; დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თავლის ჩინი; დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა; მთელი ძალ-ღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი; განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ხალხების ძმური თანამშრომლობა; განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკათა კავშირი; განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა არმია და საბჭოთა ფლოტი; განვამტკიცოთ და გავაფართოოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი. ეს ფიცი პარტიისა და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელისათვის გახდა ლენინის საქმის გამარჯვებისათვის, ლენინის დიადი ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლის დიადი პროგრამა.

საბჭოთა ხალხი, მიდის რა ლენინის გზით, ბოლშევიკების პარტიის ხელოვნანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით წმიდად ასრულებს ამ ფიცს.

სოციალიზმის საქმის გამკაცლებისა და მოლაპატეების — ტროცკისტების, ბუხარინელების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვა მტრების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში ამხანაგ სტალინის გარშემო შეიქმნა ჩვენი პარტიის ის ხელოვნანელი ბირთვი, რომელმაც დაიკავა ლენინის უძლეველი დროშა, დარაზმა კომუნისტური პარტია და გამოიყვანა საბჭოთა ხალხი კომუნისმის მშენებლობის ფართო გზაზე.

ამხანაგმა სტალინმა დაიცვა და განავითარა ლენინური მოძღვრება ჩვენი ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და ლენინის მითითებებზე დაყ-

რდნობით შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიადი გეგმა.

ამხანაგმა სტალინმა მეცნიერულად დაასაბუთა ჩვენი ქვეყანაში კომუნისმის აშენების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ დარჩება კაპიტალისტური გარემოცვა. ამხანაგ სტალინის ამ გენიალურმა დასკვნამ აიანფრთოვანა საბჭოთა ადამიანები კომუნისმის ასაგებად გმირული ბრძოლისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელოვნანელობით სსრ კავშირის მშრომელებმა განახორციელეს ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნის სტალინური პროგრამა და ისტორიულად უმოკლეს დროში საბჭოთა კავშირი გადააქციეს მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ. პარტიამ ი. ბ. სტალინის ხელოვნანელობით შეასრულა ვ. ი. ლენინის ანდერძი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად თართოდ გაიშალა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, ცნოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

ბოლშევიკური პარტიის ბრძნულმა შორსმჭირიქელმა პოლიტიკამ, ამხანაგ სტალინის გენიამ დიდ სამამულო ომში უზრუნველყვეს საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვება.

1946 წლის 9 თებერვალს წარმოთქმოლ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა მოხაზა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აგების დიადი პროგრამა. ბოლშევიკების პარტიის ხელოვნანელობით საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა ომის შემდგომი ხუთწლეულის ამოცანები, რომელიც წარმოადგინს კომუნისტური მშენებლობის სტალინური გეგმის შემადგენელ ნაწილს. ჩვენმა ქვეყანამ ახალი, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ კომუნისმის გზაზე.

ეყრდნობა რა საბჭოთა სოციალისტური წყობილების დიად ზუპირატესობებს, ბოლშევიკური პარტია დიად სტალინის გეგმით აღწერს საბჭოთა ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას, კომუნისმის დიადი მშენებლობების — კუიბიშევისა და სტალინგრადის პიდროლექტროსადგურების, თურქმენეთის მთავარი არხის, — ამუ-დარია-არასნოვოდსკის, ვოლგა-დონის სანაოსნო არხის, კახოვის პიდროლექტროსადგურის, სამხრეთ-უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების



მშენებლობათა განხორციელება კიდევ უფრო აამაღლებს შეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ აღჭურვილობას, უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის უდიდეს აღმავლობას, დაჩქარებს ჩვენი სამშობლოს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ხალხი წარმატებით ასრულებს ლენინურ მითითებას შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივი ამაღლების შესახებ, როგორც ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი პირობისა კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ბოლშევიკების პარტიის უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ლენინურმა იდეამ სოციალისტური მეჯობების შესახებ მოიცვა მშრომელთა მილიონიანი მასები და გახდა უდიდესი მატერიალური ძალა, რომელიც აჩქარებს ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმისაკენ.

შესრულებულია უმნიშვნელოვანესი ლენინური ანდერძი ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელების შესახებ. ბოლშევიკების პარტია გიგანტურ მუშაობას ეწევა ხალხთა ფართო მასებში მარქსიზმ - ლენინიზმის პროპაგანდისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, სულეირი კულტურის სიუხვის შექმნისათვის.

ასრულებს რა ლენინის ანდერძს, მილიონობით საბჭოთა ქალიშვილი და ჰაბუკე შეუპოვრად ეუფლება კომუნიზმს, აქტიურად მონაწილეობს კომუნისტური მშენებლობის დიადი სტალინური გეგმის განხორციელებაში.

ლენინიზმის ძლევა მოსილი იდეები ყველა ქვეყნის მშრომელებს გზას უნათებენ თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ. ოცდაცამეტი წლის წინათ იმპერიალისტურ სისტემას ჩამოშორდა ჩვენი ქვეყანა. მეორე მსოფლიო ომში სსრ კავშირის მსოფლიო-ისტო-



რიული გამტარებელი შედეგად ჩვენთვის ლისტურმა სისტემამ

განიცადა ახალი დიდი მარცხი: იმპერიალიზმის ხუნდებს თავი დააღწიეს და სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები; ლენინიზმის დიადმა იდეებმა ძლევამოსილად გაიმარჯვეს ჩინეთის რევოლუციაში; ევროპის ისტორიაში მობრუნების პუნქტს წარმოადგენს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. დიადი ლენინური იდეები განხორციელებას პოულობენ კოლონიური და დამოკიდებული

ქვეყნების ხალხთა სულ უფრო და უფრო მზარდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალთა განუხრელ ზრდაში, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის ისტორიულ წარმატებებში.

\* \* \*

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უდიდესი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება.

ამ დღეებში საბჭოთა ხალხი კვლავ და კვლავ ავლენს თავის დარაზმულობას ლენინ-სტალინის პარტიის ორგვლივ, სიყვარულსა და თავდადებულ ერთგულებას ლენინის საქმის დიადი განმგრძობის — ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ლენინის ძლევა მოსილი დროში, სტალინის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა ადამიანები, ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, მტკიცედ მიდიან წინ, კომუნიზმის კავკაშა მწვერვალებისაკენ.

**გ. პლატონიკოვი**



მასწავლებელი და მებაღე ერთ რამეში უთუოდ ჰგვიანან ერთმანეთს. როგორც მებაღე ზრდის, უვლის და ფორმას აძლევს ნორჩ მცენარეს, ისე მასწავლებელი აყალიბებს, აფაქიზებს და აკეთილშობილებს ახალგაზრდა ადამიანის სულს.

ასე ხდება: სასურველ შედეგს აღწევს ის მებაღე, რომელიც მცენარეს ნოყიერ ნიადაგში რგავს და მისი ზრდა-განვითარებისათვის მეცადინეობას, აგრონომიული მეცნიერების გამოყენებას არ იშურებს; იმარჯვებს ის მასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდა ადამიანის აღზრდას სწორი მეთოდებით წარმართავს, მის გონებრივ საღაროს ნამდვილი მეცნიერებით ამდიდრებს.

ეს მეთოდია ლენინური მეთოდი, ეს მეცნიერება ლენინური მეცნიერებაა!

ლენინი! — ეს სიტყვა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა გულში უღერს, როგორც სიხარულის, წინსვლისა და გამარჯვების მათუწყებელი. ეს სიტყვა ყველაზე მახლობელი, ძვირფასი და მშობლიურია ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის.

ლენინი! — ეს სიტყვა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ხვალისდელი დღის განთიადია, მათი იმედი და ნუგეშია.

ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ფართოვდება მოძრაობა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. ლენინიზმი გახდა ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშა.

ლენინი! — ჩვენი ბავშვები ენის ადგმისთანავე სწავლობენ ამ უძვირფასეს სიტყვას, ხოლო ბავშვი როგორც კი შეიცნობს საგნებსა და მოვლენებს, იგი ლენინის იდეებს ეზიარება.

ბედნიერია ჩვენი მასწავლებლობა, რომელსაც წილად ხვდა დიდი პატივი — საბჭოთა ახალგაზრდობას განუმარტოს და ასწავლოს ლენინის იდეები, მისი სილიადე, მისი უძლეველობა.

უმაგალითო გაქანებით და ბით ხორციელდება უკვდავი ლენინის ბრძნული სიტყვები საბჭოთა მასწავლებელზე — სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზეც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

საბჭოთა ქვეყანაში მასწავლებელი კომუნისმის ერთგული მშენებელია, იგი მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. უფლებამოსილია აირჩიოს და არჩეულ იქნას.

თაობიდან თაობას გადაეცემა დიდი ლენინის იდეები. ამ იდეებით სძლიეს საბჭოთა ადამიანებმა ყოველგვარ სიძნელებს. ამავე იდეებით გამარჯვებენ ისინი მომავალში.

ლენინიზმი ცოცხლობს და დღეგრძელობს!

ელ. უბილაძე







# სახალწლოდ ჩემს პაჯარა მეგობრებს

დგას ნაძვის ხე... თოვლის პაპა  
ლიმილს აფრქვევს მადლიანს.  
ზამთარია, მაგრამ გულში  
გაზაფხული ანთია.

ო, რამდენი გოგონაა,  
ო, რამდენი ყმაწვილი  
ნაქვის ხისკენ, ნაძვის ხისკენ  
ლხენით ხელებგაწვდილი.  
გაიხარეთ, მეგობრებო,  
ღრო გიღიმით ლხენისა.

გაიხარეთ, დაესწარიტ  
მრავალ ახალ წელიწადს.

გაიხარეთ, ძვირფასია  
მშობლიური მზის კოცნა,  
მზიურია ამ სიმღერის  
მშვენება და კილოცა,  
წრომის, სწავლის დგას ხალისი,  
თეთრად თინათინობს ცა,  
ბედნიერი ახალი წლის  
გათენებას გილოცავთ.

გაიხარეთ, ვიდრე ქვეყნად  
მზის ნათელი არსებობს,  
ყმაწვილებო—მაღხაზებო,  
გოგონებო—ნაზებო,  
საქართველოს მზით გამთბარნო  
ჩემო კარგო და-ძმებო!

ოთარ შალამბერიძე



# მტკვრის სათავისკენ



ვითბგი მაცდნტამვილის ამ მთოსტონას. სადტთვალთს სსტ განათლუნის სამანისდ-ტოსა და სადტთვალთს ალაჟ ცუნტრალურთა კთმიცუვის მთურ სეჟუთურთ სამავშთ მსაცდ-რულ ნაწარმთუნიჟ გამოტსედურულ კონაჟტს-მი, მიწინაჟა მესამჟ პტრმია, 1950 წელს.

გიორგი შავგუკაშვილი

მ თ ხ რ ბ ა

ნახ. გ. როინიშვილისა

## ბანაკი მტკვრის პირას

რომ იცოდეთ, როგორ დაფრთხნენ კალმახები, როცა მტკვრის მყუდრო სანაპიროზე უჩვეულო ხმაური ატყდა; საიდანღაც წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭებით დატვირთული ავტომანქანა მოგრიალდა. ბავშვებმა კარვები გაშალეს, ცეცხლი დაანთეს და აქამდის დაღუმებული ხეობა აახმიანეს. გაისმა დროლისა და საყვირის ხმა. ამ ხმას შორეული მთები ერთმანეთს გადასცემდნენ და გუგუნით იმეორებდნენ.

აქამდის თითო-ოროლა ბიჭი თუ გაირბენდა მტკვრის ნაპირას, მწყემსის სალამურის მხიარული ხმა თუ დაარღვევდა მყუდროებას. შარშანწინ აქვე მახლობლად ტრაქტორიც გამოჩნდა. რამდენიმე დღეს იგუგუნა, ნოყიერი მიწა გადააბრუნა. გლეხებმა მიწაში ვახი და ხეხილი ჩაჰყარეს და სანაპიროზე ისევ მყუდროება დამყარდა.

ახლა კი, როგორც ჩანდა, ეს წითელყელსახვევიანები აქ დარჩენას დიდხანს აპირებდნენ, იქნებ მთელ ზაფხულსაც...

უშიშა კალმახმა უკმაყოფილოდ შეითაროთხალა, მდინარის ნაპირას თვალისდახამხამებზე გაშენებულ უცნაურ ქალაქს გახედა და პირქუშად თქვა:

— სიფრთხილე საჭირო, დარანებისკენ უნდა გავეშუროთ, ვინ იცის, ბიჭუნებმა ბადეც მოიტანეს!

ახალგაზრდა, მეტიჩარა კალმახებმა, რომელთაც მზის ამოსვლა მხოლოდ რამდენიმეჯერ ენახათ, მტკვრის ნაპირისკენ გასწიეს. მათ თვალს სჭრიდა და თავისკენ იზიდავდა მდინარის პირას დანთებული ცეცხლი. ისინი ხომ პატარა და გამოუცდელი კალმახები იყვნენ.

— აქეთ, აქეთ! — უყვიროდა ტიპყინა კალმახი თავის ტოლებს, მერცხალას და წინწკალას. — ხედავთ რა ლამაზად ამუშქებს ცეცხლი, როგორ წკრიალებს ზარი!

— მეც ძალიან ვნანობ, ეს ხომ ჩვენი სამშობლოა, აქ დავიბადეთ და, ვინ იცის, ამის შემდეგ რა დღეში ჩავცვივდებით! — სინანულით ამბობდა უშიშასთან მოსაუბრე მორბედა კალმახი და თვალს არ ამორებდა პატარა კალმახებს.

— ხედავ მაგ ცუდლუტებს, ახლაცე თავი აიშვეს, აბა შენ იცი, განსაკუთრებით მერცხალას გაუფრთხილდი.

მართლაც, ამ ხეობაში ყველამ იცოდა, თუ როგორ ძლიერ უყვარდა უშიშა კალმახს პატარა მერცხალა. თავს ევლებოდა, წვრთნიდა და შეჰხაროდა.

გამოცდილი უშიშა თითქოს გრძნობდა, რომ მერცხალას რაღაც საფრთხე მოელოდა, მორბედას მიუბრუნდა და მკაცრად უბრძანა: — წადი, ნუ აგვიანებ... თვალი არ მოაწორო!

მორბედა ადგილს მოსწყყდა, მაგრამ რა იცოდა, რომ უკვე გვიანდა იყო.

**ბ ა გ ე შ ი**

ეს ამბავი მოხდა მესხეთში, ხერთვისის ციხის მახლობლად, სწორედ იქ, სადაც ორი მოზრდილი შენაკადი ერთმანეთს ერთვის. ამ ძველისძველ ციხესთან ორი მტკვარი, არტაანისა და ახალქალაქისა, ერთმანეთს უძმობილდებოდა, ხელიხელს ხვევს და მესხეთიდან დედისაქართველოში ქუხილით მოისწრაფვის.

ამ ადგილას უყვარდა მთვარიან ღამით უშიშა კალმახს თავისი ქარავნით გამოსვლა და მტკვრის მიჩქეფარე, ანკარა ტალღებში ნავარდი.

მშვენიერია ამ დროს მტკვრის ხეობა. ბადრი მთვარე აკამყამებს ვერცხლის ქაშაღივით გაწოლილ მდინარის ტანს. სიერცემი ოქროსფერი ბინდი ლივლივებს. მთებო ჩრდილებივით ატყორცნილან და მთებზე მღუმარედ დგანან ძველი ციხე-კოშკები.

ჰო-და, სწორედ იმ საღამოს, როცა უშიშა კალმახმა თავისი შემფოთება მორბედას გაუზიარა და დარანებისკენ წასვლა გადასწყვიტა. ცეცხლის ალით გაშუქებულ მტკვრის ტალღებს გაშლილი ბადე უსუილით დაეცა.

მდინარის გამჭვირვალე ზედაპირი შეირხა. კალმახები დაფრთხნენ, აირივნენ და ელვის სისწრაფით აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ბებერი, ლაყუჩა კალმახი უზარმაზარ ლოდს მიაწყდა, უცან გამობრუნდა, ბალახებში გაიხლართა, გაინაბა და შეშინებული აფართხალდა.

— მიშველეთ, მიშველეთ! — გაჰკიოდა ლაყუჩა.

ამ ხნიერი, მაგრამ მხდალი კალმახის შეშინებული ძახილი თავზარსა სცემდა პატარა ლიდესტა კალმახებს, რომელნიც უგზოუკვლოდ დაფრთხნებდნენ. ქარავანი აირია, ყველა დაიბნა.

მხოლოდ უშიშა კალმახი შეხვდა განსაცდელს ვაჟკაცურად.

— აქეთ, ჩემსკენ, დარანებს შეგაფაროთ თარი! — იძახდა ომახიანი ხმით უშიშა და გიფანტული ქარავნის თავმოყრას ამოდ ცდილობდა.

შეშინებულ კალმახებს ერთმანეთის მიახლოვებაც კი თავზარსა სცემდათ, პატარა

ჩრდილის მოძრაობა აფრთხობდათ, მდინარის ფსკერზე აგორებული ქვის მტკვარი ახალ განსაცდელად ეჩვენებოდათ.

მაგრამ უშიშა, აბა რის უშიშა იქნებოდა, თუ თავის ქარავანს ვერ დაიმორჩილებდა. ის ხომ ხნიერი, გამოცდილი კალმახი იყო. განა ერთი და ორი განსაცდელი ჰქონდა გადატანილი. ბევრჯერ ალმასის კბილებით დაუგლეჯია დახლართული ბადე, მებადურებს თვალსა და ხელს შუა გასხლტომია და სამშვიდობოს გასულა.

მთელს მტკვრის ხეობაში განთქმული იყო მისი ვაჟკაცობა. აკი ამიტომაც შეარქვეს თევზებმა უშიშა, აკი ამიტომაც აირჩიეს იგი ქარავნის მეთაურად.

ვინ იცის რამდენი კალმახი გაუზრდია უშიშას? სად არ ყოფილა? ბევრჯერ მტკვრის სათავემდის ასულა, ბევრ მდინარეს იცნობს, ბევრ მდინარეში უნავარდია.

— აბა, დარანებს შეგაფაროთ თავი, მომყევით! — დინჯად წარმოსთქია მან, როცა ყველანი მოაგროვა და დაამოშმინა.

მან ამაყად შეიფართქალა, მძლავრი მკერდით მტკვრის ტალღებს შეებრძოლა და ქარავანს წინ გაუძღვა.

ქარავანი დაიძრა.



გაისმა პიონერების დოდისა და საყვირის ხმა.



— მიშველეთ, მიშველეთ! — კვლავ გაისმა განწირული ძახილი. უშიშმა შეჩერდა და დააყურადა. შეჩერდა შემკრთალი ქარავანიც.

— ლაყუჩას ხმაა! — წამოიძახა ვიღაცამ. უშიშმა უკან გამობრუნდა, მიმოიხედა და ფრთხილი ცურვით იქით გასწია, საიდანაც ლაყუჩას ძახილი მოისმოდა.

ოჰ, რა სასაცილო სანახავი იყო ეს მხლავი კალმახი! განიერი ლაყუჩებით ფესვებში და ბალახებში გახლართულიყო, ბოლოს იქნევდა, მთელი ტანით ცახცახებდა და გაჰკრია:

— ნუ დამტოვებთ, მიშველეთ!

მაგრამ უშიშას სიცილისთვის არ ეცალა. მან კვლავ ფრთხილად დაათვალიერა გარემო. არავინ ჩანდა, არც მდინარის პირას, არც მდინარეში; სუფთა, დაწმენდილი მტკვარი დუღუნით მიაქანებდა მთვარის სხივით მოვერცხლილ, გამჭვირვალე ტალღებს.

უშიშამ ზიზღით გაიღიმა, ლაყუჩას მიუახლოვდა, მხარი ღონივრად გაჰკრა და დაცნვით ჩასძახა:

— ასწით თავი... გამოძვერ მაგ ბალახბუღბუღიან!

ლაყუჩამ თავი ოდნავ ასწია და დაიკვნესა:

— უშიშავ, მიშველე... ლაყუჩით ახკესზე ვარ წამოვებულ!

უშიშამ მის ლაყუჩებს ჩაჰხედა და ზამალლა წამოიძახა:

— ეგ ახკესი კი არა ხის წვეტანი ფესვია, შე მშიშარავ, შენა! — ლაყუჩამ დიდხანს იფართხალა, შემდეგ თავი გაინთავისუფლა და შორს წასულ ქარავანს ზანტად აედევნა. ოგი გულში სწყევლიდა თავის განიერ ლაყუჩებს, რომელთაც არაერთხელ უჭმევიათ სირცხვილი მისთვის.

მტკვრის ერთ ნაპირას უზარმაზარი ვერხვი იდგა. ვერხვს თავისი ბებერი ფესვები მდინარეში ჩამოეშვა. წყლის ხავსი და ათასგვარი ბალახი მოსდებოდა მსხვილ ფესვებს. სწორედ ეს ადგილი იყო კალმახების თავშესაფარი დარანი, რომელიც წელან უშიშამ ახსენა.

უშიშმა დარანში შესრილადა. დარანში მთვარის სხივები ვერ აღწევდა, ბინდში ელავდნენ აგზნებული თვალები და კალმახების ტანზე დაყრილი სისხლისფერი ფორეჯები.

უშიშამ თავისი ადგილი დაიკავა და მკერდით სიბ ქვას დაეყრდნო.

— მორბედა სად არის? — იკითხა მან და დარანში ჩამწკრივებულ კალმახებს გადაჰხედა.

პატარა ტანის კალმახი — მორბედა უმაღლეს უშიშას წინ გაჩნდა.

— ხომ არავინ გვაკლია? — იკითხა უშიშამ და მორბედას დააშტერდა. მორბედას შეშფოთებული გამოხედვა ჰქონდა, თვალს ვერ უსწორებდა უშიშას. ეტყობოდა რაღაც უღრღნიდა გულს, თქმა ვერ გაებედა, ყოყმანობდა.

კალმახები უცებ აირივნენ. წელან თუ ყველა საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდა, ახლა, აქ, ამ მიუვალ თავშესაფარში გაიხსენეს, რომ შეიძლებოდა რომელიმე კალმახს უბედურება დასტენოდა თავს. ყველა მეგობარსა და ნათესავს დაეძებდა, ყველა რაღაცას ყვიროდა.

— ციცნა, აქა ხარ?

— აქა ვარ, აქა!

— მე დაკარგული მეგონე!

— ოჰ, შენც გადარჩი?

— ხედავთ, თითქმის ყველანი აქა ვართ!

გაისმოდა კალმახების მხიარული ძახილი.

უშიშმა და მორბედა კი კვლავ დუმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს. მათი დუმილი მალე ყველას გადაედო და დარანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მდინარის მყუდრო სანაპიროც წყნარად ლივლივებდა, მხოლოდ წყლის პირას მსხდარი ბაყაყების ყიყინი არღვევდა სიჩუმეს.

— მითხარი, — უცებ მკაცრად შესძახა უშიშამ მორბედას, — მითხარი, ვინ დაიღუპა!

კალმახები გაინახნენ. უშიშას განრისხებისა ყველას ეშინოდა, ყველა უფრთხოდა მის წყენას. ქარავნის მეთაური თავისი სამართლიანი სიმკაცრით უშიშაც უნერგავდა კალმახებს და სიყვარულსაც.

მორბედამ თავი ასწია, ღრმად ამოისუნთქა და შეგუბებული ხმით თქვა:

— უნდა გამოვტყდე, უშიშავ, რომ დამნაშავე ვარ, ვერ შევასრულე ჩემი მოვალეობა, თვალყური კარგად ვერ დავიჭირე... სამი ახალგაზრდა კალმახი გვაკლია.

— მერცხალა სადა მყავს, ჩემი მერცხალა! — უცებ გაცოფებით წამოიძახა უშიშამ, თავის ადგილს შურდულივით მოწყდა და მორბედასთან მიიჭრა.

უშიშას თვალთაგან გამომკრთალი სხივები ელვასავით სერავდნენ დარანში დამღვარ ბინდბუნდს. მორბედა კრთოდა, თავდახრცილი იდგა უშიშას წინ.

— ორი წუთით, მხოლოდ ორი წუთით მოვარიდე მერცხალას თვალი და სწორედ იმ დროს მოხდა ის უბედურებაც... ალბათ ისიც ბადეში მოჰყვა.

წარმოსთქვა დაბალი ხმით მორბედამ და უკან დაიწია.



— მერცხალა, ჩემი მერცხალა!  
 გმინვითა და ოხვრით ამოხდა უშიშას.  
 ამაოდ ცდილობდა თავის შეკავებას, იმის  
 წარმოდგენა, რომ მერცხალა დაიღუპა,  
 გულში ლახვარივით ესობოდა, თვალს უზნე-  
 ლებდა.

განა იმისთვის ზრდიდა იმ პატარა ლამაზ-  
 სა და ღონიერ კალმახს, რომ ასე უაზროდ  
 დაღუპულიყო? დაღუპულიყო მხოლოდ იმის  
 გამო, რომ მორბედამ თვალი მოაჩიდა,  
 დროზე არ აცნობა საფრთხის სიახლოვე.

უშიშამ ოხვრა შესწყვიტა, ძალა მოიკრიბა.  
 — ამიერიდან ჩამოგერთვას მორბედობა,  
 თვალით აღარ დამენახო, შორს ჩემგან!

დანაშაული იმდენად დიდი იყო, რომ  
 მორბედა პატიებას ვერ ითხოვდა. მან თავი  
 ჩაჰკიდა, უკან გაბრუნდა და დარანი კვნესით  
 დასტოვა.

უშიშამ ისევ თავისი ადგილი დაიკავა, გა-  
 ნაბულ კალმახებს გადახედა და წყნარი,  
 მკაცრი ხმით დაიწყო:

— დავკარგეთ ის, ვისაც მომავალში ჩემი  
 ადგილი უნდა დაეკირა... დღეიდან ჩემს ღი-  
 მილს ვეღარ იხილავთ. წადით და ფრთხი-  
 ლად დაუწყეთ ძებნა, იქნებ სადმე წააწყ-  
 დეთ!

კალმახებმა უხმაუროდ დასტოვეს დარანი.  
 „ო, როგორ მიყვარდა ის პაწაწა ვაჟკაცი,  
 ის ხომ მთელი საკალმახოს თვალი იყო...  
 მტკვრის თავზე გაფრენილ მერცხალს ვამს-  
 გავსე და მერცხალაც იმიტომ შევარქვი...“

კვნესით ჩაიდუღუნა უშიშამ, ვერხვის  
 რბილ, ხავსმოდებულ ფესვებში შერგო თა-  
 ვი და მწუხარე ფიქრებს მიეცა.

## მ ე რ ც ხ ა ლ ა

უშიშა არ აჭარბებდა. მართლაც მთელი  
 საკალმახოს თვალი იყო პატარა მერცხალა.  
 ვერც გამბედაობით, ვერც ღონით, ვერც  
 სილამაზით ვერავინ შეედრებოდა მტკვრის  
 ხეობაში.

ჯერ თავის ტოლებში გაითქვა სახელი,  
 ყველამ შეიყვარა, ყველა პატივს სცემდა.  
 მერე უფროსებში გაერია და მალე თავისი  
 ღირსებით უშიშა კალმახის გული მოინადი-  
 რა.

უშიშა იშვიათად შეიყვარებდა ვინმეს.  
 მკაცრი და გულცივი ბუნებისა იყო, მაგრამ  
 თუ ვინმე თვალში მოუვიდოდა, სიკვდილამ-  
 დე ერთგულებას უწევდა და მფარველობდა.

უშიშას მოზარდი კალმახების წვრთნა და  
 ვარჯიში უყვარდა. გაიყვანდა დარანიდან  
 მერცხალას ტოლებს, დაამწკრივებდა და  
 ეტყოდა:

— აბა, ვინც უფრო სწრაფად ვადა  
 მტკვრის მეორე ნაპირზე და პირველი  
 ბრუნდება, ის იქნება ნამდვილი კალმახი!

კალმახები ელვის სისწრაფით მოსწყდებოდნენ  
 მდინარის ერთ ნაპირს, მეორეს  
 მოაწყდებოდნენ და უკან მოჰქროდნენ. პირ-  
 ველი ყოველთვის მერცხალა ბრუნდებოდა.

არავის შურდა ღირსეულის გამარჯვება.  
 კალმახი შურიანი არ უნდა იყოს. შურიანი  
 კალმახი ვერ გაიმარჯვებს, მის გულს ბოღმა  
 და ჯავრი შესჭამს.

გახარებული უშიშა გულზე მიიკრავდა  
 პატარა კალმახს, მიუალერსებდა და შეა-  
 ქებდა:

— ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო პატარავ... ცაში  
 მერცხალი მიყვარს და წყალში შენ. ნამდვი-  
 ლი, ნამდვილი მერცხალა ხარ!

უშიშა ახალგაზრდა კალმახებს მდინარი-  
 დან ამოხტომაშიც ავარჯიშებდა.

რომ იცოდეთ, როგორი სიმკვირცხლით  
 ამოფრინდებოდა ხოლმე მდინარიდან მერ-  
 ცხალა!

ფრთებს გამლიდა, პირდაღებული შეინა-  
 ვარდებდა ჰაერში, მზეს შესცინებდა და  
 ისევ მღელვარე ტალღებში შეიფრთხილებ-  
 და.

მართლაც, მთელი საკალმახოს თვალი იყო  
 პატარა მერცხალა.



პირველი ყოველთვის მერცხალა ბრუნდებოდა

მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: — ზედმეტი ცნობისმოყვარეობა. ეს თვისება მას სწორად სიფრთხილის გრძნობას უკარგავდა.

კალმახისთვის სიმხდალე სირცხვილია, სიფრთხილე კი აუცილებელი.

\* \* \*

ამ საღამოსაც, როდესაც ქარავანი იმ ადგილებში დანავარდობდა, სადაც საბედისწერო ბადე გადმოისროლეს, მერცხალას ცნობისმოყვარეობამ სძლია. მტკვრის პირას მან შენიშნა რამდენიმე ბიჭი, რომლებიც მხიარულად იცინოდნენ, ხელში ყინულილები ეჭირათ და მისი შუქით ალაპლაპებული მდინარის ტალღებში იმზირებოდნენ.

არც მერცხალას, არც მის პატარა მეგობრებს ჰქვიყინას და წინწყალას ადამიანები არ ენახათ. იცით, როგორ მოუნდათ იმ ლამაზი ბიჭების ახლო დათვალაობა. ისე მოუნდათ, რომ შიმის გრძნობაც კი დაჰკარგეს. სამივეს გულმა ნაპირისკენ გაუწია.

ჰიჭყინა, მოუსვენარი და ზედმეტად გამბედავი კალმახი იყო. მან ალტაცებით წამოიძახა:

— მერცხალავ, მოდი მივცურდეთ და ვნახოთ რა ხდება იქ!

მერცხალამ დაუჯერა ჰიჭყინას.

მათ გაუბედავი, სუსტი წინწყალაც აიყოლიეს და როდესაც შეთქმულებმა აბეზარი მორბედა სხვა ძხარეს დაიგულეს, უმალვე სანაპიროს მიაშურეს. განა ბებერი მორბედი რამეში იყო დამნაშავე? თვალსა და ხელს შუა გაუსწლტნენ პატარები და მიეფარნენ.

მტკვრის ნაპირას აუარებელი თევზი ირეოდა. მურწა და ნაფოტა თევზები ცეცხლის

აღით გამოუქებულ, გამჟვრეველ ტალღებში დასრიალებდნენ და ჭიალუას დასდევდნენ.

„თუ კი ამ უმნო, ზარმაც თევზებში ემინიათ იმ ბიჭებისა, ჩვენ, ელგასაგისთვის რაღაც კალმახებს რად უნდა გვეშინოდეს?“

ფიქრობდა მერცხალა და სიამოვნებით დასტრიალებდა თავს ცეცხლით გამოქვბულ ფერად კენჭებს, ხან ჭიალუას დასდევდა, ხან საკუთარ ჩრდილს ეთამაშებოდა.

უცებ მსუილი გაისმა. შემდეგ თითქოს ღრუბელმა გადაიარა, ჯერ ჩრდილი დაეფინა ტალღებს, მერე რაღაცა მძიმედ დაეცა მდინარეზე, წყალი აიძვრა, ყველაფერი აირია.

შეშინებული თევზები ერთმანეთს აწყობდნენ, გზას ვერ პოულობდნენ, რაღაც რბილ ქსოვილში იხლართებოდნენ და თავისდა უნებურად მდინარის ნაპირისაკენ მიიწევდნენ. ვიღაცის ძლიერი ხელი ბადეს ნაპირისაკენ მიათრევდა.

დაფეთებული მერცხალა ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქით. საითაც გაიწია, ყველგან ბადის წვრილად ნაქსოვი კედელი დახვდა. ნაქსოვში ცხვირის გაყოფა და გაძრომაც კი სცადა, მაგრამ ამაოდ. ისევ უკან გამოფართხალოდა. ბადეში მოხვედრილ აუარებელ თევზებში ძლივს მონახა ჰიჭყინა და წინწყალა, მათ გვერდით მოქანცული დაეცა და გაინაბა.

— დავიღუბეთ, დავიღუბეთ! — ჩურჩულებდნენ თევზები და მათი უსიცოცხლო, უძრავი თვალები შიშით ავსებულიყვნენ.

„ნეტავ, რა მოგველის?“ — გულის თრთოლვით ფიქრობდა მერცხალა.

ბადე ნაპირზე გაათრეეს. სმელეთზე, უწყლოდ დარჩენილი თევზები სასოწარკვეთილებით აფართქალოდნენ, ერთმანეთს კბენდნენ, ლაყუჩებს უმწეოდ ამოძრავებდნენ. ჰაერი ახრჩობდათ, ხან ქვიშაში ჰყოფდნენ ცხვირს, ხან მაღლა შეინავარდებდნენ, მაგრამ ისევ მიწაზე ეცემოდნენ.

მერცხალა ვერაფერს ზედავდა. თავზე თევზების მთელი გროვა დაჰყროდა.

### გაგრძელება იქნება



# ხალი ჭლის დიღას



ჩვენს სოფელში დღე და ღამე  
 განუწყვეტლივ სცრიდა,  
 მთა-ველს ნისლი მრისხანებით  
 უბღვეროდა ციდან.  
 ვხედავდი, რომ ფრინველები  
 ჩვენს სარკმელთან გუნდად  
 მოფრთხილდნენ, და ხალისით  
 მინაც აკაკუნდა.  
 ვჩურჩულვდით: არ გექნება  
 არასოდეს დარდი,  
 ოღონდ კარგო ჩიტუნიავე  
 ხელში ჩამივარდი.  
 არასოდეს შეგაწუხებს  
 თოვლი, ყინვა, ქარი.  
 ვთქვი და წრფელი აღტაცებით  
 გამოვალე კარი.  
 იატაკზე დაუყარე  
 ნამცეცები პურის...  
 მოლოდინში დამეფულა  
 ღელვა უცნაური.  
 მაგრამ, თითქმის ორი წამიც  
 არ დამჭირდა მოცდა,  
 ჩიტუნია ჩემს ოთახში  
 ფრთხილად შემოცოცდა.  
 ბნელ კუთხეში გაეინაბე,  
 წუთი დადგა მშვიდი,—  
 და როდესაც მოახლოვდა  
 ფრთაფარფატა ჩიტი,  
 უნებლიეთ ჩემი ხელი  
 ფრინველს დაეძგერა,—

და ანაზღად შემომესმა  
 მისი გულის ძგერა.  
 თავს ქინდრავდა შიშისაგან,  
 სუნთქვა განაბული,  
 თითქოს თვალებს მიჰპარვოდა  
 უცაბედი რული.  
 ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა  
 პაწაწინა გული.  
 ო! რა მწვავედ განვიცადე  
 მისი სიბრალული.  
 თითქოს ყურში ჩამესმოდა:  
 „სირცხვილს არ გრძნობ ნეტავ?  
 რად მატყვევებ, სიხარულის  
 კარებს რად მიკეტავ!“  
 შემრცხვა ძლიერ... უცებ ჩიტი  
 გავაფრინე ფრთხილად  
 და მხურვალედ დავულოცე  
 ახალი წლის დიღას.

მელაქაშიძე





ი. მუსაევი

მოთხრობა

ნახ. ი. სუხიშვილისა

ტკაცუნობდა კოცონი. მისი ალის წითელ-ყვითელი ენები ჰკვეთდნენ ღამის წყვილად, მიიწევიდნენ ზევით და უცნაური ფერებით რთავდნენ მდინარის პირას მღვარ ტირიფებს და მაცვლის ბუჩქებს.

მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. კოცონს ირგვლივ მჭიდრო წრედ შემოსხდომოდნენ ყმაწვილები. დროგამოშვებით დადებოდა ისეთი სიჩუმე, რომ გარკვევით ისმოდა წყლის ზედაპირზე მოსრიალე თევზების დგაფუნა.

მოსაუბრის ვაჟკაცურ და მიმზიდველ სახეს კოცონის ანარეკლი დასთამაშებდა, ლივლივებდა მის მკერდზე მიბნეულ ორდენებსა და მეღლებზე, რომლებიც ზაფხულის წყნარ ღამეში მოციმციმე ვარსკვლავებივით ბრწყინავდნენ.

მოსაუბრე თავის ფრონტულ ცხოვრებაზე მოუთხრობდა ყმაწვილებს: აი, ზაფხულის ერთ-ერთ ასეთ ღამეს ის ამხანაგებთან ერთად შეიჭრა მტრის ზურგში და მათ მტრის გენერლის ტყვედ წამოყვანა მოახერხეს...

კოცონი ტკაცუნობდა. ხმელი ტოტების უეცარი შუქი მორს ისროდა გრძელ ჩრდილებს და იქ ბუჩქებზე ფოთლებს ეფინებოდა.

ყმაწვილები ალს თვალმოკუტულები შესცქეროდნენ და გულმოდგინედ უსმენდნენ თხრობას.

განაპირას მჯდარმა ჯამილმა უცებ იგრძნო, რომ ვიღაც მოიპარებოდა. მან თავი მოიბრუნა და შენიშნა პირმრგვალი ბიჭი, რომელსაც თვალები უელავდა კოცონის სინათლეზე.

— მოვიტანე! — წაიხურჩულა ბიჭმა, ჯი-

ბიდან პატარა ფუთა ამოაძვრინა და გადასცა ჯამილს.

ჯამილმა ხელით მოსინჯა ფუთა, ფრთხილად შეინახა ჯიბეში და მიმოიხედა, თითქოს ამოწმებს — ხომ არაინი შენიშნაო.

პირმრგვალი ბიჭი, კმაყოფილი იმით, რომ თავისი დაპირება შეასრულა, დაჯდა ჯამილის გვერდით და თხრობას მიაპყრო გულისყური.

ჯამილმა მას ფრთხილად გაჰკრა ხელი:

— არან, ყვავილები ყვითელია?

არანს მისკენ არც მიუხედია, ისე წაიხურჩულა:

— ყვითლებია, სწორედ ისეთები, როგორიც წინანდელი.

ორივე დაჩუმდა. კოცონი ჩანელდა. მისი შუქი ბუჩქებამდე აღარ აღწევდა, ელვარება ბალახზე დასრიალებდა და, როგორღაც, დაჭრილ ფრინველს მოაგონებდა კაცს. სტუმრის ამბავიც დასასრულს უახლოვდებოდა.

არანმა ღრმად ამოიოხრა და წაიხურჩულა:

— ჩემი ძმაც მზვერავე იყო.

ჯამილი მიუბრუნდა არანს და ამჯერად მის სახეზე ჩვეულებრივი მხიარული გამომეტყველება ვეღარ შენიშნა.

— ახლა სად არის შენი ძმა? — ჰკითხა მან თავის მეგობარს.

— ის უკვე აღარ არის. — მიუგო არანმა და ხელახლა ამოიოხრა.

— როგორ თუ არ არის, რა იქნა? — კვლავ შეეკითხა ჯამილი.

ჩაფიქრებული არანი წნელით მიწას ჩიჩქნიდა.

— ფრონტიდან აღარ დაბრუნდა... იმასაც ასეთივე მეღლები ჰქონდა.



— ბევრი?  
— ძალიან ბევრი.

ჯამილს კიდევ რალაციის კითხვა უნდოდა, მაგრამ მოულოდნელმა ტაშმა შეუშალა ხელი. სტუმარმა დაამთავრა თხოვნა. ბავშვები წამოდგნენ და დაშლა იწყეს. მოშორებით მდგარ სახლიდან საყვირის ხმა გაისმა. პიონერთა ბანაკი ძილისათვის ემზადებოდა.

არანმა, ჯამილთან ერთად, რამოდენიმე ნაბიჯი გაიარა და უთხრა:

— აბა, მე წავიდი.

— წადი. მაგრამ ხვალ სალამოს უთუოდ მოდი. ჩვენთან კონცერტი იქნება, ბაქოდან მსახიობები ჩამოვლენ.

არანი უკვე კარგად დაშორდა, მაგრამ ჯამილმა ისევ დაუძახა:

— არან, შენი ძმის სურათი გაქვს?

არანი შედგა.

— მაქვს.

ჯამილი მიუახლოვდა.

— ხვალ მოიტანე, ვნახო.

— კარგი, — მიუგო არანმა, — ხვალ მოვიტან.

ეგი თვალის დახამხამებაში გადაევილოქვის დაბალ ღობეს და თავის ეზოში გაჩნდა.

\* \* \*

ნასაუზმევს ბანაკში, როგორც ყოველთვის, ხალისიანი ცხოვრება დაიწყო. მხიარულად ატარებდნენ დროს ბავშვები დიდი ტირიფის ჩრდილში. პირველი რაზმის პიონერები მდინარის ახლოს, მშვენიერ ფართო ფანჩატურში მეცადინეობდნენ. ფანჩატურს გარს ლაკფიოლის ბუჩქები ერტყა. ეს პატარა, ყვითელი ყვავილები მშვენიერ სურნელებას აფრქვევდნენ.

მეორე რაზმი მოშორებით, დიდ აუზთან ფანჩატურში მეცადინეობდა. ამ ფანჩატურის ირგვლივ ერთი ბუჩქიც არ ხარობდა. ვერც ერთი ბავშვი ვერ მიმხვდარიყო, რატომ იყო აქ ასე, როდესაც პირველი რაზმის ფანჩატურის ირგვლივ უამრავი სურნელოვანი ყვავილი ხარობდა.

ამაზე განსაკუთრებით მეორე რაზმის ხელმძღვანელი ჯამილი ფიქრობდა. ის შენატროდა კიდევ პირველ რაზმელებს. მათთან ყვავილებით ისე დამშვენებული ფანჩატური იყო, რომ იქიდან გამოსვლა აღარც კი უნდოდა ხოლმე.

ერთხელ ჯამილმა გადაიხედა დაბალი ღობის იქით მუზობელ ეზოში და იქაც ლაკფიოლის ბუჩქები შენიშნა, ისინი იზრდებოდნენ აივნის გარშემო და მას ყვითელმწვანე ქამრად შემორტყმოდნენ.

მეორე დღეს ჯამილმა იმ ეზოში კიდევ რომ გადაიხედა, დაინახა თავისი ტოლი ბი-

ჭი, რომელიც იქვე არხში მომდინარე წყლით გულმოდგინედ რწყავდა ბუჩქებს.

ღობეზე ჩამოქდარმა ჯამილმა გააბა საუბარი ბიჭთან.

— ეგ ყვავილები ახლა რომ დარგო, გაიხარებენ? — შეეკითხა იგი ბიჭს, რომელიც, მუხლამდე შარვალაკეცილი, წყალს ბარით გზას უკაფავდა.

— გაიხარებენ! — თავაუწვევლად უპასუხა მან და ნაკადი სხვა კვლებსაკენ მიმართა.

— რამდენიმე ნერგს არ მომცემ, რომ ჩვენი რაზმის ფანჩატურთან დავრგო?

ბიჭმა გაიღიმა:

— ეს ყვავილები ასე არ შეიძლება გადარიგოს. თუ გნებავთ, თესლს მოგცემთ.

— როდის მოგვცემ? — შეეკითხა გახარებული ჯამილი.

— გინდათ დღეს, სალამოს! — მიუგო ბიჭმა — შენ რა გქვია?

— არანი — უპასუხა ბიჭმა.


ამ საუბრის შემდეგ ორი დღე გავიდა. ჯამილი თავისი რაზმის ბავშვებთან ერთად ფანჩატურის გარშემო გულმოდგინედ თესავდა ყვავილის თესლს, რომელიც არანმა მიუტანა, და მისივე რჩევის მიხედვით ბავშვებს არიგებდა:

— იცოდეთ, წყალი ბევრი არ დაასხათ, თორემ თესლი დაღებება.

\* \* \*

ზაფხულის თბილი დღეები იდგა. მეორე რაზმის პიონერები სიხარულით აკვირდებოდნენ — როგორ ამოიწვერნენ და იწვედნენ მზისაკენ მათი ჩაყრილი თესლის პირველი ყლორტები. თვითონ ჯამილი სხვებზე ხშირად რწყავდა მათ. ის მუდამ ნორჩ ყლორტებთან ფუსფუსებდა და გულიანად გლეჯდა ამოზრდილ სარეველა ბალახებს.

ერთ დღეს ჯამილი ფანჩატურში წიგნს



ღობეზე ჩამოქდარმა ჯამილმა გააბა საუბარი ბიჭთან.



კითხულობდა. დროდადრო შეწყვეტდა ხოლმე კითხვას, დახედავდა მიწიდან ოდნავ ამოზრდილ ლაკფიოლის ყლორტებს; ოცნებობდა, როდის გაიზრდებოდნენ ეს ბუჩქები და სურნელოვან რკალად შემოერტყმოდნენ ფანჩატურს. იგი უცებ ბანაკის ჭიშკართან მდგარი მორივე პიონერის ხმამ გამოართვა:

— ჯამილ, ჯამილ, შენა ძმა ჩამოვიდა!

ჯამილმა სწრაფად დახურა წიგნი და ჭიშკრისაკენ გაქანდა. ძმა დიდი ტირიფის ჩრდილში უცდიდა. ის ჯამილზე უფროსი იყო ათი წლით.

ჯამილი ჯერ კიდევ პირველ კლასში იყო, როდესაც მისი ძმა რიზვანი სამამულო ომში იბრძოდა. ძმის მამაცობის შესახებ ჯამილი გებულობდა გაზეთებიდან და ძმისავე წერილებიდან.

ძმები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— რას კითხულობ? — ჰკითხა რიზვანმა ჯამილს, წიგნი გამოართვა და გადაფურცლა. მისი ყურადღება მიიპყრო ფურცლებშუა ჩადებულმა ფოტოგრაფიულმა სურათმა, ეს იყო სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდის სურათი.

— ეს ვინ არის? — იკითხა რიზვანმა, — თუმცა... მოიცა, მოიცა, ეს სახე მეცნობა, — იგი დაკვირვებით დააცქერდა სურათს. — ეს სარვანია, ის არის! შენ საიდან გაქვს ეს სურათი? ჰო, მისი სახლი მგონი აქვეა.

— ეს სურათი სარვანის უმცროსმა ძმამ მომცა, სარვანი მზვერავი ყოფილა ფრონტზე. სტალინგრადთან დაღუპულა.

— დაიღუპა? — ათრთოლებული ხმით შეეკითხა რიზვანი და მის სახეზე მწუხარება აღიბეჭდა. — როგორ მენანება. კარგი ჭაბუკი იყო... ის ათი წლის წინ ამ ბანაკში გავიცანი. მაშინ ჯერ კიდევ პიონერი ვიყავი. ის ხშირად მოდიოდა ჩვენს კოცონთან. ჩვენ ყველანი ძლიერ დავუძმეგობრდით მას.

— ხედავ ამ ყვავილებს? — მიუთითა რიზვანმა ლაკფიოლის ბუჩქებზე, რომლებიც პირველი რაზმის ფანჩატურს გარშემორტყმოდნენ, — ეს სარვანის სახსოვარია. სარვანმა მოგვცა ამ ყვავილების თესლი და ჩვენ აქ დავთესეთ.

ჯამილი ისმენდა ძმის ნაამბობს და თვალწინ არანი დაუდგა. თვითონაც ხომ იგივე გააკეთა. ჯამილმა წარმოიდგინა თავისი მომავალი.

გაივლიან დღეები და არანის სასურქარი თესლიდან ამოზრდილი პაწაწინა ყლორტები დიდ ბუჩქებად გადაიქცევიან, ორივე ფანჩატურის გარშემო დააფრქვევენ ისტორილებს; პირველი და მეორე რაზმის ფანჩატურებს ვეღარ გამოარჩევ ერთმანეთისაგან. და აი, ლაკფიოლის ბუჩქების ნაცვლად, ჯამილის თვალწინ დგას ორი აღამიანი, რომელთაც ერთმანეთისაგან ვერ განასხვავებ.

ჯამილის თვალწინ ყვავილებმოვლებული ორი ფანჩატურიც დგას, როგორც ორი ღვიძლი ძმა — სარვანი და არანი...

უცებ ჯამილმა იგრძნო მხარზე რიზვანის ხელი და ძმას აპხედა.

— ხედავ, როგორ ამწვენებენ ბანაკს ეს ყვავილები? სხვა ტალავრებთანაც საჭიროა დაირგოს.

— ჩვენ უკვე დავრგეთ. — უპასუხა ძმას ჯამილმა.

— სად იმოვე თესლი?

— არანმა მოგვცა, დაღუპული მეგობრის ძმამ.

\*\*\*

ჰაერში შემოდგომის სუნი ტრიალებდა. მაღალი ხეებიდან ერთიმეორეზე ცვივოდნენ გაყვითლებული ფოთლები. ბანაკში ცხოველების ბოლო დღეები იყო. მხიარული დასვენების შემდეგ ბავშვები ქალაქში ბრუნდებოდნენ.

გამგზავრების წინ ჯამილი უკანასკნელად შეხვდა არანს. ეს ძლიერ ხანმოკლე შეხვედრა იყო. ჯამილმა მოასწრო მხოლოდ ეთქვა:

— არან, შენ თვალყურს ადევნებ ჩვენს ყვავილებს?

— ფიქრი ნუ გაქვს! — უპასუხა არანმა. — მომავალ წელს პირველი ფანჩატურის ირგვლივ რომ ბუჩქები, იმოდენები გაიზრდებიან.

ჯამილმა მაგრად ჩამოართვა ხელი მეგობარს:

— აბა, კარგად იყავ, ნახვამდის, მომავალი წლის შეხვედრამდე!

და ბანაკის ჭიშკრისაკენ გაიქცა, სადაც უკვე უცდიდა ავტობუსი.

არანი დიდხანს გაჰყურებდა მანქანას, ვიდრე ის ფორაკებს არ მიეფარა.

ციდან მოისმოდა წეროების შორეული ყიბყიბი, ისინი გრძელ მწყრივად მიფრინავდნენ სამხრეთისაკენ.

თარგმნა მახვალა მკვილიჯიძე





ნორჩ თაობის გასაგონად  
შინ და გარეთ ვამბობთ მუდამ:  
ქუჩას თავის წესები აქვს,  
და ამ წესებს დაცვა უნდა...

გოგი დარბის რუსთაველზე,  
თითქოს მინდვრად პეპლებს იჭერს;  
ხელმარჯვენით რომ ევალემა,  
ის ხელმარცხნივ მიაბიჯებს.  
სადაც უნდა, როგორც უნდა  
პროსპექტს ისე გადასერავს;  
ტროლეიბუსს ეტოქება,  
ავტოს უცქერს აღმაცერად.  
ნეტავ ერთი სხვებიც ნახოს,  
თუნდაც დათო—კიკნა—ბიჭი,  
ყველაფერი სათნო რომ აქვს,  
გინდ სიტყვა და გინდ ნაბიჯი.  
სადაც უნდა დაინახო,  
გზიბლავს ქცევითა და წესრიგით,  
განა მარტო სკოლას უყვარს,  
მთელ ქვეყანას უყვარს იგი.  
ტრამვაიში დინჯად შედის,  
კრძალვით ხვდება ნაცნობ-უცნობს;  
ბევრს უნახავს ის მაღსაზი,  
უფროსებს რომ ადგილს უთმობს.

გოგი კი რბის ტროტუარზე,  
თითქოს მინდვრად პეპლებს იჭერს;  
ხელმარჯვენით რომ ევალემა,  
ის ხელმარცხნივ მიაბიჯებს.  
ერთხელ დილით გაქანებულ  
ტრამვაიზე შეხტა გოგი,


ოდნავ მუხლი დაიმსეა,  
დაასყუბდა შუბლზე კობი.  
აქ ვატმანმა შემოფოთებით  
ტრამვაის სვლა შეანელა,  
ძოხუცი და ახალგაზრდა  
გოგის ქცევას ჰგმობდა ყველა...

კოჭლობით და ოხვრა-ვივით  
შეალო მან სკოლის კარი,  
კლასებიდან ამოვარდა  
საყვედურის ნიაფ-ქარი:  
— ჩვენს კოლექტივს, ჩვენს ღირსებას  
ასეთი რამ განა ჰშვენის?  
რაზმეული მოვიწვიოთ,  
შევადგინოთ განაჩენი!

წარუდგინეს მასწავლებელს,  
გოგის თვალებს ცრემლი ნამაეს;  
თავდახრილი, დარცხვინილი  
მასწავლებელს ეტყვის ამას:  
— მთელმა სკოლამ შემოიძულოს,  
შევეჯავრო მთელ ქვეყანას,  
შემაქციოს უმალ ზურგი  
მეგობარმა, გულგამწყრაღმა,  
ღღის შემდეგ ჩემი ცული  
თუ იხილოს ვინმეს თვალმა!

ამ წუთიდან ჩვენი გოგი  
(სიძარტლე ხომ უნდა ითქვას!)  
ზედმიწეებით მტკიცედ იცავს  
თავის ფიცს და თავის სიტყვას!

პანო მნალი





ეროვნული  
წიგლისმოყვარეობის  
კავშირი

# უპოვებელი ბულონის ტყუილი



ნიკო ინასარი

მოთხრობა

ნახ. ა. ბანძელაძისა

განთიადია.

ბულონის ტყეში ვარ, პარიზის ამ დამამშვენებელ არემარემში.

ჩემს თვალწინ იღვიძებს ბუნება.

აგერ ფრინველებმა იწყეს ჭიკჭიკი და ვგრძობ, თუ რომელი ხეებიდან ისმის ხმა ძათი ჭიკჭიკისა... ვიცქირები აქეთ-იქით, რომ ის ხეები დავინახო. მაგრამ მალე მთელი ტყე ფრინველების ყვირილ-ხივილმა მოიცვა.

მათი ყრიაშული ცას წვდებოდა. ისინი ვალობით ეგებებოდნენ განთიადს, დღის მუშაობაში ჩაბმის წინ, განთიადს შეჰხაროდნენ.

და მე, მათ შორის მყოფი, ვნატრობ: რატომ აღამიანებიც ფრინველებივით არ უნდა შეჰხაროდნენ ამომავალ მზეს მუშაობის დაწყების წინ?!

ამ განცდებში მყოფს უცბად ხარხარი მომესმა. „ჩემს ფიქრს ვინ დასცინის-მეთქი!“ გავივლე გულში. ვხედავ, ბულონის ტყის ალაყაფის კარს გერმანელი ფაშისტები უახლოვდებიან.

სულ ოთხნი იყვნენ. ორი მათგანი ფრიად მდიდრულად ჩაცმული მხანდილოსანი იყო, ფრთებით მორთული შავი ქუდებით, და ორიც ხანდაზმული ოფიცერი.

ერთი ოფიცერი ზღვარგადასული პრანქიობით წინ მოუძლოდა მათ და განუწყვეტილვ ლაპარაკობდა, ცმუკავდა, ხან ჩერდებოდა. მის სიტყვებზე დანახრჩენები ხმა-მალა ხარხარებდნენ ისე ლალად და უღარდელად, თითქოს ყველაფერს მათთვის გზა დაუთმია და ფეხქვეშ ნოხად ეგებო.

ამ კრებულს ძალღიჯ ახლდა, რომელიც დარბოდა ხან მათ წინ, ხან უკან...

ეს ამბავი 1942 წლის ზაფხულის დასაწყისში ხდებოდა.

ამ დროს გერმანელ ფაშისტებს, „გამარჯვებებით“ დამთვრალთ, ეგონათ, რომ დე-

ლამიწაზე მათ გარდა აღარავინ არსებობდა. ასე მანჭვა-გრეხით სანამ ისინი ტყეში შემოვიდნენ, მზემ მალა ამოიწია.

მე ახლა შევნიშნე, რომ ტყეში ფრანგებიც შემოსულიყვნენ: დედ-მამას პატარა ქალიშვილისათვის ხელი ჩაეკიდათ და ნელი ნაბიჯით მოსეირნობდნენ.

ფრანგი ქალი ძალიან სადად, მაგრამ სასიამოვნოდ იყო ჩაცმული. კაცს მუშის ლურჯი ხალათი ეცვა, და გვაძლევდა საბაბს გვეფიქრა, რომ შევბუღებაში მყოფი ბუშა ცოლ-შვილით სუფთა ჰაერზე სასეირნოდ უნდა ყოფილიყო გამოსული.

ამათაც ძალღიჯ ჰყავდათ. მათი ძალღიჯ წინ და უკან თავისუფლად დარბოდა.

გერმანელი დამპყრობლების ვეება ძალღიჯა დანახა თუ არა მოსეირნე ფრანგების პატარა ძალღიჯ, მისკენ გაქანდა...

თქვენ უნდა გენახათ, რა უსიამოვნო შესახედავი იყო ის ამ დროს! — ისეთნაირად მიბოდა, გეგონებოდათ წინა ნაწილი უკანა ტანს სწყდება და მერე ისევ უერთდებო.

პატარა, მკვრივი ტანის მქონე ძალღიჯა შენიშნა თუ არა ფაშისტების ვეება ძალღიჯის მოახლოება, გაიქცა. ფაშისტების ძალღიჯ უფრო გათამამდა, უფრო მეტის ძალღიჯით გაქანდა, წამოეწია ფრანგების ძალღიჯს და ზურგზე შეახტა.

საწყალი პატარა ძალღიჯ წამუტუნით წაიქცა, მაგრამ უმაღვე მარდად წამოხტა და კვლავ მოჰკურცხლა...

ამ ჩვეულებრივმა ამბავმა გერმანელ ფაშისტებში ცხოველური აღტყინება გამოიწვია.

— ნახეთ, გერმანელების ძალღიჯ იმარჯვებს,—ხმამალა ამბობდა წინ მიმავალი პრანქია ოფიცერი. ამასთან, რამდენჯერაც მათი ძალღიჯ წამოეწეოდა და ზურგზე შეახტებოდა ფრანგების ძალღიჯს, იმდენჯერ ის ოფიცერიც მალა ხტებოდა ყიყინითა და



ხელების ქნევით, თანამგზავრების ხარხარით წახალისებული.

ფრანგებს თითქოს არაფერი არ ესმოდათ და ვერ ხედავდნენ თავხედთა ამ სცენას. ისინი ისევ ხელჩაკიდებულები მიაბიჯებდნენ.

მოულოდნელად სურათი შეიცვალა: საიდანაც ფრანგების ძაღლს სხვა ძაღლები წამოეშველნენ და ახლა გერმანელების ყურბჩამოყრილი ძაღლი გამობრბოდა. უკან ფრანგების მყეფრები მოსდევდნენ, ეწეოდნენ და ჰკებენდნენ, ტანზე და თავზე აბტებოდნენ.

ფაშისტების ძაღლს თავი ვერ დაეწეოდა ვერ გასცლოდა გააფთრებულ მყეფრებს და ხან წინა ფეხების მუხლებზე ეცემოდა, ხან უკანა ტანით იქცეოდა, წკმუოდა...

უსაზღვროდ განცვიფრებული გერმანელი ფაშისტები თვალს არ უჯერებდნენ, რომ მათი ვეება ძაღლი ასე უძლური გარბოდა ფრანგების ძაღლების წინ...

„ნუ თუ ჩვენი მომავალიც ესაა?! ნუ თუ ოდესმე ჩვენც ასე მოგველის გაქცევა?“ — უნებლიეთ გაიფიქრა ყოყონა ოფიცერმა. შეიძლება სხვებმაც ასევე გაიფიქრეს, რადგან მოულოდნელად ყველამ მოიწყინა.



## მ ნ ა თ ო ბ თ ა ს ა ხ რ ი

ამ სამიოდე წლის წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული პლანეტარიუმი. მისი გუმბათისებური სახურავის ქვეშ ყოველ დროს შეიძლება მნათობებითა და ვარსკვლავებით მოქედილი ცის გამოხატულების ნახვა. დამკვირვებელს შესაძლებლობა აქვს დაათვალიეროს დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროს ცა ღამით, ამავე დროს ნახოს, თუ როგორ ამოდის მზე აღმოსავლეთით და ჩადის და-

სავლეთით. პლანეტარიუმში შეიძლება ყველა პლანეტის გაცნობა, დაწყებული მერკურით და დამთავრებული იუპიტერით. ყოველივე ეს ხდება რთული საპროექციო აპარატის საშუალებით, რომელიც ოთახის შუაშია მოთავსებული.

პლანეტარიუმს უამრავი მნახველი ჰყავს. განსაკუთრებით იზიდავს იგი მოსწავლეებს. თბილისის ქალთა 24-ე საშუალო სკოლის ნორჩ ფიზიკოსთა წრის წევრებმა პლანეტარიუმს „მნათობთა სახლი“ უწოდეს.

# რ ა ს გ ა დ ა უ რ ჩ ა თბილისი



ირაკლი ავაშიძე

პოემა\*

ნახ. ს. მაისაშვილისა

იბაკლი ავაშიძის ამ პოემას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკუ ცენტრალური კომიტეტის მიერ საყოველთაო სამაგისტო მსაცვრელ ნაქართველო გამოცხადებულ კონკურსში, მიენიჭა მეორე პრემია, 1950 წელს.

## ნ. მონღოლები ბრძანა რუსულან თბილისის დაწვა



ემოიარა ქვეყანა  
ამხედრებულმა მონღოლმა,  
სისხლის წვიმების ღრუბელმა,  
ტანჯვა-წამების მომგონმა.  
ძლივსა გადურჩა კლანჭიდან  
თბილისი ველურ ხვარაზმელს,  
ქალაქის ციხის კარები  
მხედრულად ვერც კი ჩარაზეს,  
რომ ზედ გალავანს მიადგა  
მონღოლი ხმალდმართული...  
ციხის კარს როდი იცავდა  
ძველი მახვილი ქართული;  
მახვილი ძველთა რაინდთა  
ლომგმირთა ტოლ-ამხანაგთა...  
რუსულან — ქართლის მფლობელი  
ქუთაისს გადაბანაკდა.  
ხოლო სატახტო ქალაქი  
მტერს სრულად როდი გადასცა,  
ბრძანება გასცა ფიცხელი —  
მთელი თბილისი გადასწვა.

## მონღოლები თბილისში



ემოიჭრენ, ქართლს სუღარის  
დაახურეს შავი კალთა  
და „ქვეყანას საოხრებლად  
მოეფინეს მსგავსად მკალთა“.  
ათას ფანდის ოსტატები  
და სასჯელთა მომგონები  
შემოიჭრენ და თბილისში  
გაბატონდნენ მონღოლები.  
ქართველს მათთან რა შეეძლო,  
რა სიმარჯვე, რა გმირობა,  
მათ გამართეს მთა და ბარად  
კაციშვილზე ნადირობა.  
თარეშობდნენ, ნადირობდნენ,  
გვამზე ჰყრიდნენ ახალ გვამებს,  
საქართველოს მატინე  
ას წელიწადს დაღამეს.  
გაიხიზნენ თავადები,  
გაეცალნენ ქვეყნის ამკლებთ,  
შინ ვინც დარჩა, ემას სტანჯავდა  
მონღოლებზე არანაკლებ.  
ბოლოს მტერთან სულ გახშირდა  
ქართველ ხალხის დაჯახება,  
ხალხი აღსდგა, თან მოსდევდა  
აჯანყებას აჯანყება.

\* დასასრული. დასაწყისი იხ. უფრ. „პიონერის“ 1950 წლის № 11 და № 12.

## ქართლი მონღოლთან დაზავდა

**მ** აგრამ რადგანაც მოჯანყეს მონღოლი სჯიდა ორწილად, გაწამებული ქართველი თავის ხვედრს დაემორჩილა. ბრძოლა და ჯანყი შეჩერდა, მტერზე რომ ერთხანს აზღვადა, გაწამებული ქართველი მონღოლთან ბოღმით დაზავდა. ეს — როცა მტერიც გასტანჯა ჯანყმა, ყიყინმა, ჩურჩულმა, როცა ქართლს კლანჭი შეუშვა აღმოსავლეთის ურჩხულმა. თითქოს ბორკილი შეიხსნა შრომამ, ვაჭრობამ, მკვავრობამ, ქუთაისიდან თბილისში ტახტი გადმოსდგა მთავრობამ. მაგრამ მტერს მაინც თბილისში ცხრა ყური ჰქონდა, ცხრა თვალი, და იჯდა ქართლის მეფესთან მონღოლთა მეფისნაცვალს.

### თბილისი ისევ უნდავა

**მ** შავბნელ შუალაბეში ჩოროგორც კი მოიხედავდა, თბილისი ფეხზე დგებოდა, ახალ მომავალს სჭედავდა. ხელში იღებდნენ წერაქვებს შესვენებული მხედრები, ზეცისკენ იტყორცებოდნენ ახალნაგები კედლები. ქალაქში უკვე აღიგვა მონღოლთა ხანძრის ნაცარი, ისევ დამშვენდა გუმბათით ძველი სიონის ტაძარი. ისევ აშენდა ისანში მეფის სასახლე ქებული, თბილისის დაეგო ამაგად დემეტრე თავდადებული. მან ისევ ამოაშენა ბევრი ნანგრევის ალაგი, გაღმა მეტეხის მონასტრით მან დაამშვენა ქალაქი. ფეხზე დგებოდა თბილისი, კვლავინდებურად დგებოდა, მისი ასი წლის ბატონი მტერი ქრებოდა, კვდებოდა.

• • •

ას წელიწადს თოვლი თოვდა, ას წელიწადს წვიმა წვიმდა, ბოლოს ქართლი გატანჯული მონღოლთაგან ვაიწმინდა. მტერს, ქვეყნების გადაამბუგველს თვით დაუდგა გლოვა შემდეგ

და თბილისში მონღოლები ამოწყდნენ და გადაშენდნენ. ისევ წალმა შემობრუნდა გატანჯული ქართლის ჩარხი, ცად კედლები აღიმართნენ, მოეფინა ქუჩებს ხალხი.

### თემურ-ლენგი

**მ** ეთოთხმეტე საუკუნე სრულდებოდა თითქოს მშვიდად, მაგრამ საღდაც, აზიაში მტრის ხმალი ისევ მოუშვიდათ. კვლავ დიდხნით დაიღწა საქართველოს მყუდროება, გადმოლახეს ტრამალები თემურ-ლენგის ურდობმა. წინ უძღოდით თვით თემური მრისხანე და გამოცდილიც, დანაგრეის კარის ციხე, შემოეწყვენენ უცებ თბილისს. შემოეწყვა ქართლის ბაღნარს მაშრიყელი სისხლის მსმელი, მედგრად დახვდა სამარყანდელს მეციხოვნე თბილისელი. მტკიცე ჰქონდა თბილისს კარი, მტკიცე ჰქონდა გაღავანი, შიგ დაფდაფით ვერ შებრძანდა მოთარეშის ქარავანი. მხოლოდ, როცა გააწამა მტერმა ციხე, მძიმე ალყით, როცა ვერაგ ზედმოსულთან ძოიქანცა ბრძოლით ხალხი, ჯარს დასჭყვილა თვითონ ლენგმა, წამოვიდა როგორც ქარი და ველური იერიშით შემოლევს ციხის კარი. აყვავების პირზე მდგარი კვლავ გაუხმა თბილისს ნერგი, ახლა ქალაქს დაეუფლა ნოთარეშე თემურ-ლენგი.

\* \* \*

მაგრამ მხეცებმა ამჯერად თბილისი როდი გადასწვეს, ციხე-ქალაქის მცხოვრებნი როდი მოსრნეს და გაძარცვეს. დალაშქრეს, დაიმორჩილეს, დასცეს და თავი ანებეს; ლენგი ეკვეთა თერგს იქით ჩრდილო ულუსის მბრძანებელს. ჭკუით ზომავდა თემური — აღმოსავლეთის მმართველი, არ ამოთხარა თბილისი, არ გადიკიდა ქართველი.



## თემური ისევ მოგზუნდა



სევ მალე შემობრუნდა  
მამრიყელი სისხლის მსმელი,  
საქართველოს არნახულად

დაუღამდა ათი წელი.  
შემობრუნდა ლენგ-თემური  
ახლა უკვე გახელებით,  
ზედ შეაწყდენ ათასობით  
ქართლელნი და კახელები.  
შეესია ამერ-იმერს,  
გასთელა და გადალევა,  
უცებ ცეცხლი წაუვიდა  
აღმოსავლეთ-დასავლეთსა.  
მთებში სდევდა გახიზნულებს,  
კლდეს ესროდა ცეცხლის ისარს.  
„მოწვეს ყოველი საქართველო  
და დაყარნეს მძოვრნი მკვდრისა“.  
გადაბუფვა, გადათელვა,  
სიკვდილი და ქვეყნის მსხვერვა  
აი, მხეცი ლენგ-თემური —  
მისი რვაგზის შემოსევა.

### 7. ფეოდალები

#### სამარჯუნდს მოკვდა თემური



თელ აღმოსავლეთს თემური  
მხოლოდ მახვილით მართავდა,  
და როგორც მოკვდა ნადირი,  
მისი სამეფოც გათავდა.

დაიმსხვრა ისე ანაზღად,  
როგორც ანაზღად შეჰყარა,  
სამარჯუნდს მოკვდა თემური, —  
განთავისუფლდა ქვეყანა.  
ქვეყნად კვლავ გაჩნდა სიმღერა,  
ისევ გაისმა სტვირის ხმა,  
ქართლში გაღვივდა კერია,  
სული მოითქვა თბილისმა.  
კვლავ დაუბრუნდა ხელობას  
ხურო, ხარატი, მჭედელი;  
ისევ ამაღლდა დაშლილი  
ხის და ქვითკირის კედელი.

#### ლემი, ოსმალო, სპარსელი



ისხლი მოსწყურდა ახლა სპარსს,  
ვით მის წინაპარ სასანიდს,  
ჯერ ჯეჰან-შაჰი გამოჩნდა,  
მერე ბრბო უზუნ-ჰასანის.  
დედაქალაქის მიწაზე  
არ გაახარეს ყვაილი,  
მოდგა იაკუბ-ყაენი,  
მოვარდა შაჰ-ისმაილი.  
შაჰს მოჰყვა ისევ ყაენი,  
ლამეს კვლავ ლამე ყურუმი, —  
მერე წავიდა სპარსელი,  
მერე გამოჩნდა ურუმი;



ურუმი — შავი ოსმალო,  
ქართველთა სისხლის მწოველი,  
თბილისს დაესხა მხეცურად,  
„ალილო, მოსრნა ყოველი“.  
დასთხარა მიწა თბილისის  
გაწამებულს, მტირალის;  
მერე კვლავ სპარსი გამოჩნდა,  
შაჰ-აბას — ლომი ირანის.  
გასწყვიტა ურუმი-ოსმალოს  
ასკერები და ფაშები,  
თბილისში ისევ განმტკიცდნენ  
სპარსელი ყიზილბაშები.  
ისევ განმტკიცდნენ სპარსები  
ქართველთა სისხლის მსმელებად,  
და გადასწყვიტეს ამაჯერად  
ქართველის გასპარსელება.  
მაგრამ ჰყოდა ქართველი  
ხმალამოწვილი, თვალსვლი:  
„რაც უნდა მომკლან, მაწამონ  
მე არ გავხდები სპარსელი“.  
სპარსთან ბრძოლაში გმირულად,  
ქედმოუხრელად კვდებოდა:  
ქართლ-კახეთს ჰყრიდა აბასი,  
სპარსეთში ერეკებოდა.  
ანდერძს ატანდნენ აყრილებს:  
ნამუსი შეინახეთო,  
„ვისაც გიწიოთ სიკვდილმა,  
ქართულად დაიმარხეთო“.



შემობრუნდა თემურ-ლენგი

#### სააკაძის ნაღარა



ერ ამოსთხარა თბილისი  
მერეც შაჰ-აბასის მახვილმა,  
ისევ განგმირა მტრის გული  
ძველმა „ჰკა მავას“ ძახილმა;  
ისევ აზღვავდა მამული,  
მტრის ურდოები გასრისა, —  
ახლა იელვა მტრის თავზე  
მახვილმა სააკაძისა.



თავზარდამცემად მოესმა  
მტერს სააკაძის ნალარა;  
ასი წლით იხსნა თბილისი,  
მძიმე ბორკილი აპყარა.

### ღალატი და ღაკინება

**მ**ონ წაპბაძა სააკაძეს,  
ვინ გაუღდა გმირის კვალსა,  
თავგასულად გადაეკიდა  
ფეოდალი ფეოდალსა.  
ღალატობდნენ საქართველოს,  
მომგე-მოყვასს მტერზე სცვლიდნენ,  
ერთმანეთის ქიშპობაში  
დაკინდნენ და გათახსირდნენ.  
ღალატის და გამცემლობის  
დაეუფლა დამე თბილისს.  
დამე უღდა, მაგრამ მშვიდი  
არ ჰქონია წუთით ძილიც.  
ქართლის გული სათარემოდ  
მისცემოდა ცეცხლის ალსა,  
შიგ ქალაქში ხმლით ებრძოდა  
ფეოდალი ფეოდალსა.  
ერისთავის კვალს მისდევდა  
ერისთავის ბასრი ხმალი;  
ზოგი ლეკებს მოუძღოდა,  
ზოგს მოჰყავდა განჯის ხანი.  
ზოგს მოჰყავდა ყიზილბაში,  
ზოგს მოჰყავდა სარასკარი,  
დანგრეული, დამსხვრეული  
ყველგან ჰქონდა ქალაქს კარი.  
მოუძღოდნენ თბილისისკენ  
ერთმანეთის გასაყლეთად,  
ამ ბრძოლაში, ქიშპობაში  
ინგრეოდა ქართლი მეტად.

\* \* \*

„რა მამალი სხვის მამალსა  
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,  
მას სცემოს და თვით იცემოს  
დაქოჩროს და დაეკიდოს,  
რა ორნივე დაღალულნი  
ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,  
ეგრეთ ქართლი და კახეთი  
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

### სისხლის წვიმები

**მ**ტრები გაავსო თბილისი  
დიდ ფეოდალთა ბრძოლაში,  
„ქართლი ოსმალომ დაიპყრო,  
კახეთი ლეკთა მოლამა“.  
თბილისში დასხდნენ ბატონად  
ოსმალ-ურუმთა ფაშები,  
ლეკეთის შავი ბანდები,  
სპარსეთის ყიზილბაშები.  
თბილისმა თავისუფლების  
თითქოს დაჰკარგა იმედიც,

დრო იდგა შავი ღალატის,  
დრო იდგა სისხლის წვიმების.  
სანამდის წინ არ წარუძღვა  
სარდალი ქართველ მეომრებს,  
სანამ არ გამოეცხადა  
თბილისს ერეკლე მეორე.

### 8. ისევ ირანი

#### პატარა კახი

**მ**ათარეზობდნენ თბილისში  
მტრების ველური ტომები,  
ჰქუხდა ლეკებთან, თურქებთან,  
ყიზილბაშებთან ომები.  
იყო ფიცხელი ზედმოსვლა,  
იყო „ჰკა მაგას“ მახილი,  
ვერას ხდებოდა მტარვალთან  
ვახტანგ მეექვსის მახვილი.  
ბოლოს წარუძღვა ჰაბუკი  
სარდალი ქართველ მეომრებს,  
მტრებს დაერია ვეფხურად  
დიდი ერეკლე მეორე.  
იხსნა მტერთაგან თბილისი,  
ასწელს რომ სისხლი აწვიმდა,



მტერს შეხვდა მეფე ერეკლე

განთავისუფლდა ქალაქი —  
ციხე, თაბორი, მთაწმინდა.  
თბილისმა დასწვა უღელი,  
ასწელს რომ ქედით ატარა,  
შემდეგ მრავალ წელს იცავდა  
ქართლის გულს კახი პატარა.


\* \* \*

რა არ ნახა ქართლის გულმა  
რა წამება, განსაცდელი,


### დაიძრა თბილისისაკენ


თავს აწვიმდა სისხლის წვიმა,  
ეცვა ცეცხლის ტანსაცმელი.  
კარს სიკვდილი უღეწავდა  
საშინელი, ამაზრზენი:  
მურვან-ყრუ და ბულა-თურქი,  
ხაზარი და ხვარაზმელი.  
მაგრამ გლოვის შავი ღამე  
ღსევ თეთრად თენდებოდა,  
„და რაღაცა მანქანებით  
გული ისევ მთელდებოდა“.  
ისევ სჭექდა ტკბილი ჰანგი  
ქართლის გულის მოსალხენად  
და თბილისი შენდებოდა  
მტრების თვალის მოსათხრელად.

### ცეცხლი პიკველი და ბოლონდელი


 აგრამ შავი ირანელი  
ვინც მახვილით ქვეყნებს სთხრიდა,  
არ მოემვა მზიურ თბილისს  
დაარსების პირველ დღიდან.  
პირველ დღიდან გადვიცა,  
გასტანჯა და გააძაღლა;  
ეს ირანი ქართლის გვერდით  
ვინ ურჯულომ დაასახლა!  
პირველ დღესვე ციხე თბილისს  
ის ეძებრა როგორც მგელი,  
მან, ირანმა წაუქიდა  
თბილისს ცეცხლი ბოლონდელიც.

### ხოჯა ალა-მაჰმად-ხანი

 დგა თბილისს მყუდროება,  
გადიოდა დრო და ხანი.  
შაჰინ-შაჰის ტახტზე დაჯდა  
მხეცი ალა-მაჰმად-ხანი.  
თითისტოლა, საჭურისი,  
კაცთმოძულე, სისხლის მსმელი,  
მტერ-მოყვარის რისხვის ზარი,  
უმოწყალო, კაცთამეკვლელი.  
დაჯდა ტახტზე. და როდესაც  
საქართველოს გმირულ ხალხის  
ნება-სწრაფვით დიდ რუსეთთან  
მტკიცე კავშირს სჭედდა კახი,  
დიდ რუსეთთან ძმობის მოშლა  
ისპაჰანში ბრძანა შაჰმა,  
მაგრამ სიტყვა არ გასტეხა  
საქართველოს გმირმა ხალხმა;  
ვადასწყვიტა საბოლოოდ  
დიდ რუსეთთან დამოყვრება...  
მაშინ შაჰმაც დასასჯელად  
ბრძანა ქართლის აოხრება.

 თელი ირანი აპყარა,  
ყველას შეება მახვილი,  
დადგა სპარსეთის ტრამალზე  
ღრიანცელი და ძახილი.  
არც იარაღი დაზოგა,  
არც ოქრო-ვერცხლი დაშურა,  
მთელი ირანი ქართლის გულს  
მოადგა ყიზილბაშურად.  
მოადგა დაუბრკოლებლად  
თბილისს მრისხანე სპარსეთი,  
დიდიხანია არ ეგრძნო  
ქართლს განსაცდელი ასეთი.  
მოხუცი მეფე ერეკლე —  
ძველი არწივი ქართველი,  
ახის დიდი სარდალი  
ჯართა უებრო მმართველი,  
ვინც გამოაწრთო ურიცხვმა  
ომების მკაცრმა ალებმა,  
ბრძოლის წინ მუხანათურად  
დასტოვეს ფეოდალებმა.  
ჩასცეს სამშობლოს დალატი,  
იწყეს გახიზვნა ჩქარ-ჩქარი;  
მტერს მეფე შეხვდა კრწანისთან  
ათჯერ ნაკლები ლაშქარით.

### კრწანისის ომი

 ედმოსულებს ქართველებმა  
შეაგებეს ფიცხლად ხმალი,  
შეეჯახნენ, უკუაგდეს,  
შეჭკრთა ალა-მაჰმად-ხანი.  
ხან გაჰხედა სიმაგრეებს,  
ხან შემოვიდა ირგვლივ სცადა,  
წუთით შესდგა და გარდამწყვეტ  
ბრძოლისათვის განემზადა.  
მერე აღსდგა მკაცრი შაჰი,  
ცოფიანი, სისხლიანი...  
კრწანისის ველს სექტემბერის  
დილა უღდა ჩისლიანი.  
მაღლობებზე არა სჩანდნენ  
ჯერ სხივები ტკბილი მზისა,  
ძირს კრწანისზე ირკვეოდა  
ბედ-იბაღი თბილისისა.  
აირია ღრიანცელი  
ზურნისა და სროლის ხმაში,  
წამოვიდა უთვალავი  
ცოფიანი ყიზილბაში.  
ქართლის გულზე აღიმართა  
ირანელი აფთრის თათი,  
გაცვდა ხმალი ქართველისა —  
მოდიოდა ერთზე ათი.  
ჯართან ერთად ხმალი იპყრა  
ხელში ბევრმა ქალაქელმა  
და კრწანისზე თავი დასდო



### ბოლო სიტყვა


### ბადაყულა ბედი ჭარბილი სტალინისა

ვერ ამოსთხარა თბილისი  
 მტრის შემოსევამ ათასმა,  
 შავ მოგონებად დაურჩა  
 აწიოკება, თავდასხმა.  
 ბრწყინავს ახალი თბილისი  
 ძველი ქალაქი ქართული,  
 აყვავებული, გაშლილი,  
 აბაყად წელგამართული.  
 მშვენიერდება, შენდება,  
 სართულს მოჰყვება სართული;  
 ბრწყინავს ახალი თბილისი,  
 მთელ ქვეყანაზე განთქმული.  
 გამქრალან სამარადისოდ  
 მის თავზე შავი ღრუბლები;  
 ხარობს თბილისი სიმშვიდით,  
 სიმდიდრით, თავისუფლებით.  
 ძმური კავშირით შეკრული  
 მოძვე ხალხების კერებთან,  
 ერთ დიდ ოჯახში შესული  
 დიდ საბჭოეთის ერებთან.  
 თბილისი — ტურფა მშვენიერა,  
 საბჭოთა ქვეყნის მხარეთა,  
 თავისუფალი, ამაყი  
 დგას კომუნიზმის კარებთან.  
 თბილისი — ზედ რომ ნათელი  
 მზის შუქი გადაჰფენია,  
 თბილისი — სადაც აენთო  
 დიდი სტალინის გენია,  
 თბილისი — დედაქალაქი,  
 ძველი ქართული კერია,  
 თბილისი — რასაც ბაღივით  
 რთავდა ლავრენტი ბერია.  
 მზის შუქით განათებული  
 თბილისი ოქროს ფერია, —  
 სცოცხლობდეს დიდი სტალინი,  
 სცოცხლობდეს ჩვენი ბერია.

ერთ სამასმა არაგველმა.  
 მაგრამ ხალხთან არ იბრძოდა  
 მოლაღატე ბევრი მხდალი,  
 თბილისიდან შორს მიჰქროდა  
 ბევრი დიდი ფეოდალი.  
 გატყდა ციხე თბილისისა,  
 ნაომარი გატყდა ხმალი,  
 და ქალაქში შემოვარდა  
 მხეცი ალა-მაჰმად-ხანი.

\* \* \*

დასწვა ქალაქის კედლები,  
 სტამბა, თოფხანა, ტაძარი,  
 თბილისის გზებზე დაჰყარა  
 მხოლოდ ფერფლი და ნაცარი.  
 ათი დღე ლეწა ქალაქი  
 გამხეცებულმა სპარსელმა,  
 და სისხლი თბილისელისა  
 როს აღარ დარჩა სასმელად.  
 როცა სულ შეწყდა ქალაქში  
 კაცის ხმა ტკბილ-ქართველური.  
 ისპაჰანისკენ სიჩქარით  
 გაბრუნდა შაჰი ველური.  
 მოხუცი, თვალბგამშრალი,  
 გულმკვდარი, სახეშეცვლილი,  
 თბილისს დაბრუნდა ირაკლი  
 ანანურს გადახვეწილი.  
 ფეოდალთაგან დაჭრილი,  
 შემდეგ მტრისაგან ძლეული,  
 თბილისის ფერფლში დაბრუნდა  
 თვითონაც ფერფლადქცეული.  
 ჩრდილოეთისკენ ნუგეშით  
 აღაყრო თვალი სარდლისა  
 და გადასწყვიტა საქვეყნოდ  
 ირაკლიმ ბედი ქართლისა.





# ერთი მოწინავეთაგანი

რკინიგზის სადგურ იანეთიდან ჩრდილოეთისაკენ ფართო შარაგზა მიემართება. ეს გზა ხეხილის ბაღებითა და ვენახებით სავსე ბევრ ლამაზ სოფელზე გაივლის. ამ სოფელთა რიცხვს ეკუთვნის დიდი ჯიხაიში. ეს სოფელი სამტრედიის რაიონში შედის და ცნობილია თავისი კულტურული ცხოვრებით. ვინც დიდ ჯიხაიში სადგურ იანეთიდან მიმავალი ფართო შარაგზით შედის, მის ყურადღებას სოფლის შესასვლელში მიიპყრობს მოზრდილი მეურნეობა თავისი დაგეგმილი ნაკვეთებით, ხეხილის ბაღითა და წიწვიანი მცენარეებით. თვალის ერთი მოვლებითაც შესამჩნევია, რომ მეურნეობა სიყვარულით არის მოვლილი და დამუშავებული. რკინის ფართო ჭიქქარაბის მისილ-რბეში მიემართება სწორი, გრძელი გზა. გზას ირრვე მხარეზე გასდევს სხვადასხვა სახის წიწვიანი მცენარეები, რომლებიც ქმნიან მარადმწვანე, მომხიბვლელ ხეივანს. გზის დასასრულს მეურნეობიდან ღობით გამოყოფილია ფიჭვებით, ნაძვებითა და ჭადრებით დაბურული ეზო, სადაც დგას კრამიტით დახურული ლამაზი სახლი.

ეს ადგილი გასული საუკუნის მიწურულამდე თითქმის შიშველ მინდორს წარმოადგენდა. ცნობილია მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ მინდორი კერძო მესაკუთრეებისაგან შეისყიდა, დაგეგმა და მოაწყო მეურნეობა, მოაშენა ვახი და ხეხილი, ჯიშისანი შინაური ფრინველები და ცხოველები. მეურნეობაში ყოველგვარ სამუშაოს ნიკო მოწინავე აგრონომიული წესით აწარმოებდა და ცდილობდა თავისი მეურნეობის მაგალითით გლეხობაშიც დაენერგა იგი.

დღეს ეს მეურნეობა სასწავლო მნიშვნელობისაა და ეკუთვნის ლ. პ. ბერიას სახელობის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. ხოლო ნიკო ნიკოლაძის მიერ აგებულ სახლში მოთავსებულია მისივე სახელობის სახლ-მუზეუმი.

ტექნიკუმის შენობა მეურნეობიდან ცოტა მანძილით არის დაშორებული. იგი დგას შარაგზის გადაღმა, დიდ ეზოში. გზის გასწვ-

რივ ეზოს ამშვენებს გრძელი, ლამაზი დეკორაციული ბაღი. ეზოს შესასვლელთან, ქიშკრის ახლო, ერთ მხარეზე ი. ბ. სტალინის მონუმენტი აღმართული, მეორე მხარეზე — სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ლ. პ. ბერიას მონუმენტი. ამ ორი სკულპტურული ნაგებობის გარდა ბაღის ყვავილნარში დგას გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის და ბუნების დიდი რუსი გარდამქმნელის ივანე მიხურინის ძეგლები.


ტექნიკუმის შენობა ორსართულიანია.

დერეფანში შესვლისთანავე იპყრობს ყურადღებას ლ. პ. ბერიას სახელობის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. აქ გამოფენულია მიხურინული მეცნიერების ძირითადი საფუძვლების ამსახველი დაფები, საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების კულტურისა და ლიტერატურის ამსახველი სტენდები, მთელი რიგი აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი სქემები და დიაგრამები.

აი დაფა აკადემიკოს ვილიამსის პორტრეტით. დაფაზე მხატვრულად წარწერილია ვილიამსის ცნობილი სიტყვები: „არ არსებობს უვარგისი ნიადაგები; არსებობენ მხოლოდ ცუდი მეურნეები“. წარწერის ქვემოთ მხატვრის ძიერ დახატულია ნიადაგის კარგად, მოწინავე აგრონომიული წესით დამუშავების შედეგად მიღებული ხორბლის მსხვილი თავთავები, სიმინდის დიდი ტაროები, სხვადასხვა სახის ბოსტნეული. ყველაფერი ეს ისეა განლაგებული და ერთმანეთთან ფერებით შეხამებული, რომ ქმნის უხვი მოსავლის გამომხატველ მიმზიდველ სურათს.

ყოველი სასწავლო კაბინეტი აღჭურვილია საჭირო მოწყობილობით; მათი დანიშნულების მიხედვით, თვალსაჩინოებისათვის კედლებზე გაკრულია შესაფერისი მხატვრული დიაგრამები და სურათები, რაც მოსწავლე ახალგაზრდობას ხელს უწყობს წარმატებით დაეუფლოს მეცნიერების ყოველ დარგს.

ლ. პ. ბერიას სახელობის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ზრდის



სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს—მე-  
ბაღე-მებოსტნეებს, მემინდვრეებსა და ბუხ-  
პალტერ-ეკონომისტებს.

მოსწავლეთა თეორიულ ცოდნას ტექნი-  
კური მჭიდროდ აკავშირებს პრაქტიკულ საქ-  
მიანობასთან. ამისათვის სასწავლებელს აქვს  
სანიმუშოდ მოწყობილი ზემოთ დასახელე-  
ბული სასწავლო მეურნეობა. იგი წარმოად-  
გენს ცოცხალ ლაბორატორიას, სადაც მოს-  
წავლე ახალგაზრდობა, გამოცდილი სპეცია-  
ლისტ-პედაგოგების ხელმძღვანელობით, პრა-  
ქტიკულად ეუფლება ნიადაგების დამუშავე-  
ბისა და მათში სასუქების შეტანის წესებს,  
მანქანა-იარაღების გამოყენების საქმეს, ხე-  
ხილისა და ვაზის მყნობის სახეებს. ამავე  
დროს ისინი აწარმოებენ ცდებს მცენარეთა  
ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გამოსაყ-  
ვანად, მუშაობენ მიხურბისულ ნაკვეთებში  
გაშენებული ციტრუსოვანი მცენარეების  
ყინვაგამძლეობისა და უხვმოსავლიანობის  
საკითხებზე.

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექ-  
ნიკუმმა, პირველმა ქვემო იმერეთის პირო-  
ბებში, სცადა ქართული ხორბლის ჯიშების:  
დოლის პურის, წითელი დოლის, სამეზოდ-  
გომო ხოზოს, ხულუგოსა და წითელი თავ-  
თუხის მოსავლიანობის შემოწმება.

სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა, მცოდ-  
ნე, შრომისმოყვარე სპეციალისტების აღზრ-  
დისათვის ძალ-ღონეს არ იშურებენ დიდი  
ჯიხაიშის ტექნიკუმის პედაგოგ-მასწავლებ-  
ლები.

მოსწავლე ახალგაზრდობას ფართო განა-  
თლების მისაღებად დიდ დახმარებას უწევს  
ტექნიკუმის ბიბლიოთეკა. იგი 10 ათასზე  
მეტ წიგნს შეიცავს. ყოველ მნიშვნელოვან  
წიგნზე შედგენილია ანოტაცია, რაც ხელს  
უწყობს მოსწავლეებს წიგნებით სარგებლო-  
ბის საქმეში.

ტექნიკუმში გახსნილია სტალინის ოთახი.  
მასში გამოფენილია დიდი ბელადის ცხოვ-  
რებისა და მოღვაწეობის ამსახველი მრავა-  
ლი ფოტოსურათი. ეს ოთახი იმდენად მდი-  
დარია მასალებით, რომ იგი ნათელ წარმოდ-  
გენას აძლევს მნახველს ლენინ-სტალინის  
დიადი პარტიის ისტორიაზე.

დიდი სამამულო ომის პერიოდში დიდი

ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი  
სახელოვნად ემსახურებოდა მტერზე გამაირ-  
ჯვების საქმეს. თვითმფრინავის —  
ველოს სოფლის მეურნეობის სპეციალის-  
ტის“ ასაგებ ფონდში ტექნიკუმის მოს-  
წავლე ახალგაზრდობამ, პედაგოგებმა და  
ტექნიკურმა პერსონალმა საგრძნობი წვლი-  
ლი შეიტანეს, რითაც მათ დაიმსახურეს უმა-  
ღლესი მთავარსარდლის — დიდი სტალინის  
მადლობა.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტების  
აღზრდის საქმე იმდენად მაღალ დონეზე  
დგას ლ. პ. ბერიას სახელობის დიდი ჯიხა-  
იშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში,  
რომ ამ დარგში წარმატებისათვის მან 1940  
წელს მონაწილეობა მიიღო სრულიად საქავ-  
შირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში და  
მიეცა დიპლომი. ასევე მაღალი შეფასება  
მიეცა ამ სასწავლებლის მუშაობას 1946  
წელს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის  
საძინისტროს მიერ მოწყობილ გამოფენაზე,  
სადაც წარმოდგენილი იყო სასოფლო-სამე-  
ურნეო ტექნიკუმების სასწავლო-სააღმზრ-  
დელო, ფიზკულტურული მოაზადებისა და  
სასწავლო მეურნეობის დამახასიათებელი  
მასალები.

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო  
ტექნიკუმი თავისი ფიზკულტურული და  
სპორტული მუშაობით ცნობილია ჩვესს  
რესპუბლიკაში. სასწავლებელთან არსებულ-  
მა ფეხბურთისა და ლელობურთის გუნდებ-  
მა დედაქალაქისა და რაიონულ გუნდებთან  
შეხვედრებში ბევრჯერ მოიპოვეს გამარჯ-  
ვება.

დამსახურებულად ატარებს დიდი ჯიხაი-  
შის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ლ. პ.  
ბერიას სახელს. 1950 წლის 24 დეკემბერს  
აღინიშნა ამ სახელოვანი სასწავლებლის არ-  
სებობის 20 წლისთავი. სოფლის მეურნეო-  
ბის სპეციალისტთა აღზრდის საქმეში ტექ-  
ნიკუმის მიერ გაწეული დიდი მუშაობის  
ღირსეული დაფასება გამოიხატა იმ დიდ  
სიყვარულში, რომელიც ჩქეფდა საიუბილეო  
სალამოზე პირად გამოსვლებში თუ წერი-  
ლობით მიღებულ მილოცვებში.

ბ. ბუთაძე





# სათხილამურო სპორტი



თხილამურებით სიარული, ცურაობა ცივებით, თამაშობანი ზამთრის სუფთა, სუსხიან ჰაერზე გიკაყებთ ჯანმრთელობას და ხელს გიწყობთ, რომ თქვენ ძლიერი, მოქნილი და ამტანები იყოთ.

ზამთრობით ჩვენი ქვეყნის მილიონობით ადამიანები დგებიან თხილამურებზე. თხილამურებით დადიან მონადირეები და ტყისმჭრელები. სოფლის ბევრი ბავშვი სკოლაში თხილამურებით დადის. სათხილამურო ლაშქრობებში და შეჯიბრებებში მონაწილეობენ ასიათასობით ნორჩი და მოზრდილი სპორტსმენები. ჩვენს ქვეყანაში თხილამურები საზამთრო სპორტის ნამდვილი სახალხო, ყველაზე მასობრივი სახეა.

რუსეთში პირველად თხილამურები XII საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, თხილამურის გამოგონებელი რუსული სიტყვა „ლიჟა“ გამომდინარეობს ძველი სლავური ზმნებიდან „ლიჟნუტ“, „ლიჟატ“, რაც ნიშნავს ყინულზე გაქცევას, სრიალს. საზღვარგარეთ განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებში თხილამურები ცნობილი იყო აგრეთვე შორეულ წარსულში. თუმცა იქ ხმარობდნენ ნელმავალ თხილამურებს. სრიალებდა მხოლოდ ერთი, მარცხენა თხილამური, ხოლო მარჯვენა, შედარებით მოკლე, ბიძგისათვის იხმარებოდა.

სწრაფმავალი თხილამურების პირველი სამშობლო რუსეთი იყო. უკვე XV-XVI საუკუნეში რუსმა ადამიანებმა გამოიგონეს თხილამურების ახალი, უფრო სრულყოფილი სახე, რომელიც ორივე ფეხით, თანაბრად დიდი სიჩქარით სრილის საშუალებას იძლეოდა. თავისი არსებობის ასეული წლების მანძილზე თხილამურებმა სრულყოფის


გრძელი გზა განვლეს. თანამედროვე თხილამურები ორ ძირითად სახედ იყოფა — მბიჯებელი და მოსრიალე.

მბიჯებელი თხილამური წარმოადგენს თასმებით გადაწულ ხის ფერსოს და ფორმით ჩოგბურთის დიდ ჩოგანს მოგვაგონებს. ეს თხილამური ადიდებს ფეხის საყრდენ ფართობს და თოვლის ზედაპირზე მსუბუქად ბიჯების საშუალებას იძლევა. საინტერესოა ისიც, რომ მბიჯებელი თხილამური იხმარება არა მარტო ზამთარში, არამედ ზაფხულშიც საფლობ ჭაობებში სასიარულოდ.

მოსრიალე თხილამურები უფრო მეტადაა გავრცელებული. ისინი იყოფიან სანადირო და სპორტულ თხილამურებად. სანადირო თხილამურები უფრო გახიერია და ხშირად ძირზე ცხოველების ტყავს ამოაკრავენ ხოლმე, რომ მთაზე ასვლის დროს მონადირეს ფეხი არ დაუსრიალდეს. სპორტული თხილამურები ყველა თქვენთაგანისათვის ცნობილია.

თხილამურებით ძალიან სწრაფად შეიძლება სიარული. ყველაზე ამტანი და სწრაფად მოსიარულე ადამიანი თოვლში ძნელად გაივლის საათში ორ-სამ კილომეტრს. მეთხილამურე კი, დროის ამ მონაკვეთში, ადვილად ფარავს 8-10 კილომეტრს. ჩვენი მეთხილამურეები — სპორტის ოსტატები თხილამურებით კიდევ მეტ სისწრაფეს აწვითარებენ. მაგალითად, 1949 წლის მარტში სვედლოვსკი საბჭოთა კავშირის პირველობაზე შეჯიბრებაში საბჭოთა არმიის ოფიცერი ვლადიმერ ოლეშოვმა ორ საათსა, ხუთ წუთსა და ორმოცდაათერთმეტ წამში გაირბინა 30 კილომეტრი.





საბჭოთა მეთხილამურეები რეკორდებს ამყარებენ თხილამურებით შორეულ გადასვლებშიც. მსოფლიოში ყველაზე შორეული გადასვლა მოაწყვეს კომკავშირელმა მესაზღვრებმა. მათ 9 ათასი კილომეტრი — ბაიკალიდან მურმანსკამდე 151 დღეში დაფარეს.

სათხილამურო სპორტს არა მარტო სპორტული, არამედ დიდი სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს. მეთხილამურესთვის არ არსებობს დაბრკოლება, ის ადვილად სძლევს თოვლიან სივრცეს. სამამულო ომის წლებში თხილამურებით იბრძოდნენ მთელი რიგი სამხედრო ქვეგანაყოფები. ბევრი სამხედრო-მეთხილამურე იქნა დაჯილდოებული ორდენებითა და მედლებით სამამულო ომში საბრძოლო წარმატებებისათვის.

თქვენ, ბავშვებო, კარგი მეთხილამურეები რომ გახდეთ, უნდა სისტემატურად ივარჯიშოთ. მაშინ შესძლებთ „იმით“ ნორმების ჩაბარებას. ნორმები რომ შეასრულოთ, უნდა გაიაროთ თხილამურებით ბიჭუნებმა სა-

მი კილომეტრი 22 წუთში, გოგონებმა ორი კილომეტრი 18 წუთში.

ყველაზე მეტად გავრცელებულია თხილამურებით სვლის ორი სახე — შესაბამისი ბითი და ორნაბიჯიანი.

პირველ სურათზე ნაჩვენებია მეთხილამურის სხვადასხვა მდგომარეობა შენაცვლებითი სვლის დროს, მეორე სურათზე კი მეთხილამურის მდგომარეობა ორნაბიჯიანი სვლის დროს.

თხილამურებით სიარულის სწავლა უკეთესია სწორ, კარგად დატკეპნილ ადგილზე. ვარჯიშის დროს ეცადეთ იაროთ სწორად, არც თუ ისე სწრაფად, რომ სუნთქვა არ იყოს განსაკუთრებით გახშირებული.

მეთხილამურეს უნდა ეცვას მსუბუქად, მაგრამ თბილად ისე, რომ ტანსაცმელი მოძრაობას არ აფერხებდეს. თხილამურეები უნდა იყოს კარგად გაპოხილი. თასმები და სამაგრები ფეხსაცმელებზე ზუსტად მორგებული.

ა. კიხნაძე



## წყარ ქვ ეშ ა ზ უ დ კ ა ნ ი

გასული წლის 4 დეკემბერს 17 საათსა და 40 წუთზე კასპიის ზღვაში მოხდა ძლიერი ვულკანური ამოხეთქვა, ზღვაზე გაჩნდა ალოვანი სვეტი, სიმაღლით არანაკლებ ასი მეტრისა. განთიადისას ის დაინახეს ბაქოს მცხოვრებლებმა, მიუხედავად იმისა, რომ ამოხეთქვა ქალაქიდან 100 კილომეტრით იყო დაშორებული.

მეორე დღეს ამოხეთქვის ადგილზე გავმგზავრენ ვეოლოგები. ღია ზღვაში მათ დაინახეს კუნძული. იგი ზღვის დონიდან ექვსი მეტრით იყო ამალღებული. კუნძულის სიგრძე ერთ კილომეტრს აღწევდა, განი კი ას მეტრს. კუნძულის მწვერვალიდან ამოდიოდა წყლის თეთრი ორთქლის ბოლქვები.

ამ ადგილას არა ერთხელ გაჩენილა ასეთი კუნძული. პირველი ტალახოვანი ვულკანუ-


რი ამონთხევა აქ 1861 წელს მოხდა, შემდეგი ამონთხევები — 1927-სა და 1939 წლებში. კუნძულები, რომლებიც ვულკანური ამონთხევების შედეგად ჩნდებოდნენ, ზღვისაგან ჩაირეცხებოდნენ და ისპობოდნენ. ეს კუნძულები მნიშვნელოვნად პატარები იყვნენ, ვიდრე არის ახალი კუნძული.

— საიდან გაჩნდა ზღვაში ალოვანი სვეტი? — იკითხავთ თქვენ.

ამოხეთქვის დროს გაზები ეჯახებოდა მთის ქანებს, რომლებიც თიხის ფენების ზემოთ მდებარეობენ, და არღვევენ მათ. ტალახთან ერთად ამოისერიან ქვებს. ერთმანეთთან ქვების დაჯახებით ხდება დაკვეცება, რის შედეგად ალდეიან გაზები.

ლ. კახნიძე

# ყვავილის კანონი აპრილის



ჩვენი ნორჩი კინომაყურებლები როდი კმაყოფილდებიან კინოსურათის მარტო სიუჟეტური განვითარებით, არამედ ისინი ზოგიერთი კინო-კადრის გადაღების ტექნიკითაც ინტერესდებიან.

კინოსურათის გადასაღებ აპარატს მრავალი საშუალება მოეპოვება, რომ მაყურებელს კინოეკრანის საშუალებით აჩვენოს ის, რომლის ჩვენება არც სიტყვით და არც ცალკეული ფოტოსურათებით არ შეიძლება. მაგალითად: პურის მარცვლის გაღვივება და ფესვების გადგმა ნიადაგში, ბალახის ამოსვლა, ყვავილის კოკორის გაშლა და სხვა.

შევეჩვიეთ ყვავილის კოკორის გაშლაზე.

ბუნებაში კოკორის გაშლა ისე ნელი ტემპით მიმდინარეობს, რომ, რამდენი დაკვირვებაც არ უნდა მოვახდინოთ, ჩვენი თვალი ვერ დაინახავს კოკორის გაშლის პროცესს. კინოს საშუალებით კი ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ყვავილის კოკორის გაშლის მთელი პროცესი. ეკრანზე კოკორი გაიშლება ნელა, თანდათანობით. ა. ფედლოროვის და გ. გრიგორევის ბროშურაში „როგორ სამსახურს უწევს კინო აღამიანს“ აღწერილია კინოგადამღები აპარატი „ცეიტრაფენი“ ანუ დროს აღმრიცხველი. სწორედ ამ აპარატის საშუალებით ხდება ყვავილის კოკორის გაშლის, ბალახის ზრდისა და სხვა ისეთი პროცესების გადაღება, რისი დანახვაც ბუნებაში ჩვენ არ შეგვიძლია. როგორ აწარმოებს ეს საინტერესო აპარატი თვალთ შეუმჩნეველი მოვლენის გადაღებას?

ჩვენ ვიცით, რომ ჩვეულებრივი ხმოვანი კინოსურათის გადაღების დროს კინოოპერატორები წამში 24 კადრს ანუ 24 პატარა ფოტოსურათის იღებენ. აგრეთვე კინოთეატრებში საპროექციო აპარატის საშუალებით სურათის ჩვენება იგივე სიჩქარით ხდება, როგორც გადაღება. მაგრამ კინოოპერატორმა ერთ წამში 24 კადრის მაგიერ რომ ერთი კადრი გადაიღოს და სურათი ეკრანზე ჩვეულებრივი სისწრაფით აჩვენოს, ჩვენ მივიღებთ ძალიან სწრაფ მოძრაობას. ეს მოძრაობა 24-ჯერ მეტი იქნება ჩვეულებრივი კინოსურათის კადრთა მოძრაობაზე.

ზამბახის კოკორის გაშლას სჭირდება ხუთი საათი, ესე იგი 300 წუთი, ანუ 18.000 წამი.

ჩვეულებრივი კინოსურათის გადაღების დროს ხომ წამში 24 კადრს იღებენ. ჩვეულებრივი კინოსურათის გადაღების ხერხით რომ გადავიღოთ ზამბახის კოკორის გაშლა,—24 უნდა გავაპარავლოთ 18 ათასზე. მივიღებთ 432 ათასს. მაშასადამე ზამბახის



კოკორის გაშლის ჩვენებას 432.000 კადრი სჭირდება. ამ რაოდენობის კინოკადრის გადსალეხად საჭიროა რვა კილომეტრზე მეტი სიგრძის მქონე კინოლენტი. ასეთი კინოსურათები რომ ეკრანზე ჩვენებრივი სიჩქარით ვაჩვენოთ, მის ნახვას ხუთი საათი დასჭირდება. ამგვარად ეკრანზე ვერ ვნახავთ ზამბახის კოკორის გაშლის პროცესს. მაგრამ, თუ წუთში თითო კადრი იქნება გადაღებული, მაშინ ზამბახის კოკორის გაშლის პროცესი დაეტევა. 300 კადრში. და ეკრანზე ზამბახის კოკორის გაშლას ჩვენ ვნახავთ — ნაცვლად 5 საათისა — 12 წამის განმავლობაში. ჩვენს თვალწინ ეკრანზე ყვავილის კოკორი ნელ-ნელა დაიწყებს გაშლას და შემდეგ მთლიანად გაიშლება. ამრიგად, დროს შემცირებით, ჩვენი თვალის მიერ შეუმჩნეველი მოძრაობა ეკრანზე ხდება შესამჩნევი.

კინოგადამღები აპარატი „დროს აღმრიცხველი“, რომელსაც შეუძლია გადაიღოს ჩვენი თვალის მიერ შეუმჩნეველი ნელი მოძრაობა, მოწყობილია შემდეგნაირად: ამ საინტერესო აპარატს ერთსადაიმანვე დროს უფერ-



თებენ საათის მექანიზმსა და ელექტროძრავს განსაკუთრებული გამწესრიგებლის საშუალებით ხდება თითოეული კადრის გადაღების მსვლელობის ვადიდება ან შემცირება. როდესაც საათის ისარი აღნიშნავს კინოსურათის გადაღების დაწყების დროს, — ავტომატურად აინთებიან მძლავრი ელნათურები, ამუშავდება ელექტროძრავი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს კინოგადამღები აპარატი. აპარატში მოთავსებულ ნევატივის ფირზე გადაიღება ყვავილის კოკორის გაშლის პროცესის ერთი კადრი, რის შემდეგაც ავტომატურად ქრება ელნათურები, ჩერდება ელექტროძრავი და მთელი მოწყობილობა მანამდე, სანამ არ მოაღწევს ხელახალი კადრის გადაღების დრო, რომელსაც აღნიშნავს საათის მექანიზმი. ასე ამრიგად, კინოს საშუალებით შეგვიძლია ეკრანზე ნათლად დავინახოთ ისეთი მოვლენები, რომელთა დანახვა ბუნებაში ძნელია, ან შეუძლებელია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერთათვის კვლევითი მუშაობის საწარმოებლად.

კინოოპერატორი მ. ნარიშკინი

## გ ა ვ ჯ ე რ ი დ ა მ თ ე ღ ი დ ა რ ჩ ა

ლია ეზოში იდგა და მეზობელი ბავშვები შემოხვეოდნენ. ისინი ინტერესით საუბრობდნენ.

— მაშ, არ გჯერათ, ყინულის ნაქერი რომ გავქრათ და მთელი დარჩეს?! — თქვა ლიამ.

— ლია, რა უცნაურად ლაპარაკობ, ეს შეუძლებელია. — თავისას არ იშლიდა გია. სხვებიც ვიას ეთანხმებოდნენ.

— თუ გეძევათ, ახლავე დაგანახვებთ ჩემს სიმართლეს.

ლიამ მიწაზე ორი ერთნაირი სიმაღლის ყუთი ერთმანეთის ახლო მოათავსა. მოიტანა ყინულის ნაქერი და ყუთებზე ძელივით გასდო. შემდეგ ყინულის შუა ნაწილზე მავთულით რკინის ნაქერი დაჰკიდა.

— ამ მავთულმა ყინულის ფენებში რომ გაიაროს და თავის ტვირთიანად მიწაზე დავარდეს, ხოლო ყინული ისევ ერთ ნაქრად დარჩეს, ხომ შეიძლება ითქვას, ყინულის ნაქერი გავქერი და ისევ მთელი დარჩა? — უთხრა ლიამ ბავშვებს.

— რასაკვირველია, შეიძლება! — იყო ერთხმად პასუხი.

ბავშვები გულმოდგინედ უყურებდნენ, თუ რა სიმძიმით აწვებოდა წვრილი მავთული ყინულის ნაქერს და როგორ ადნობდა მას. ხოლო მავთულის ზემოთ წნევისაგან გათავისუფლებული წყალი მყისვე იყინებოდა. ავტო მავთულმა ყინულის შუაფენებში ჩააღწია. რამდენიმე ხნის შემდეგ კი იგი რკინის ნაქერიანად მი-

წაზე დავარდა. ლიამ ყინულის ნაქერი აიღო და თოვლს დაახეთქა, მაგრამ ყინული ისევ მთელი დარჩა.

ბავშვები გაკვირვებით უცქერდნენ.

— ყინულის დნობის ამ თვისებაზეა დამყარებული წრიაებით მთამსვლელების მოგზაურობა. — ლაპარაკობდა ლია. — მთამსვლეელი თავისი სიმძიმით აწვება მთაზე დადებულ ყინულს და წრიაპს ზედ ამაგრებს, რის გამოც ფეხი არ უცურდება და უადვილდება სიარული.

დ. გედევანიშვილი



# გ ა ს ა რ თ ო ბ ი



პასუხები ჟურ. „პიონერის“ 1950 წლის № 12-ში მოთავსებულ ამოცანებზე.


1. „მოხუცი და ბავშვები“, — ერთ ბავშვს შვიდი ფანქარი ჰქონდა, მეორეს ხუთი.
2. „გამოიცანით“ — წიგნის ყდა ღირს 25 კაპიკი.

## რამდენი გადაიხადა

მიშა შინ დაბრუნდა და ვაშლებიც მოიტანა.

— რამდენი გადაიხადა? — ჰკითხა ბებია.  
— ოთხჯერ მეტი ვაშლი ვიყიდე, ვიდრე შენ იყიდე გუშინ, და თითოეულ ვაშლში ორჯერ ნაკლები გადავიხადე, — ამაყად უპასუხა თავისი ნავაჭრით კმაყოფილმა მიშამ.

რამდენს გადაიხდიდა ვაშლებისათვის მიშა, თუ ზღბიას ნავაჭრი ერთ მანეთსა და 25 კაპიკს შეადგენდა?



ამ ვარსკვლავზე ციფრები გადაადგილეთ ისე, რომ ყოველი ქიმის წახნაგებზე განლაგებულ რგოლებში ჩაწერილი ციფრების ჯამი უდრიდეს 25.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

- ირ. ფავლენიშვილი — ლენინს (ლექსი) ვარეკანი მე-2 გვ. ახალი, 1951 წელი (წერილი) . . . . . 1-„  
ს. ეული-ქურიძე — ლენინის სურათთან (ლექსი) 3-„  
ნ. ვლადიმეროვი — ლენინის ძღვევამოსილი დროშით (წერილი) . . . . . 4-„  
ე. უბილავა — თაობიდან თაობაზე (წერილი) . . . . . 6-„  
ო. შალამბერიძე — საახალწლოდ ჩემს პატარა მეგობრებს (ლექსი) . . . . . 7-„  
ბ. შატერაშვილი — მტკვრის სათავისაკენ (მოთხრობა) . . . . . 8-„  
მ. კახიძე — ახალი წლის დილას (ლექსი) . . . . . 13-„  
ე. მუსავეი — ბანაყის მეგობრები (მოთხრობა, თარგმანი მაყვალა მრევლიშვილისა) . . . . . 14-„  
ა. ონელი — მტკიცედ იცავს თავის სიტყვას (ლექსი) . . . . . 17-„

- ნ. ინასარი — შემთხვევა ბუღონის ტყეში . . . . . გვ. (მოთხრობა) . . . . . 18-„  
ი. აბაშიძე — რას გადაურჩა თბილისი (პოემა, დასასრული). . . . . 20-„  
ბ. ბეთანელი — ერთი მოწინავეთაგანი (ნარკვევი) 26-„  
ა. კიკნაძე — სათხილამურო სპორტი (წერილი) 28-„  
მ. ნარიშანიშვილი — ყვავილის ვაშლა ეკრანზე (წერილი) . . . . . 30-„  
გასართობი . . . . . 31-„  
ჩვენი კალენდარი . . . . . ვარეკანის მე-2 გვ. ვარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — „მიღება პიონერთა რიგებში“, — ეკუთვნის მხატვარ გ. ჯაშს, ვარეკანის მე-4 გვერდის მხატვრობა — „ნორჩი მეთხილამურენი“ — მხატვარ გ. ფოცხიშვილს.

რედაქტორი ბ. კ ა შ ხ ი ძ ე. საბუღალტრო ვლოჯია: ე. აბლაძე, დ. გვრიტიშვილი, მ. მარდიანიშვილი. ბ. თაგვიანი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ჯ. ზამბალიძე. პასუხისმგებელი მდივანი მ. თორღალა. სამსახურთა რედაქტორი ბ. ფოცხიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

ფე 00050 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეგვ. № 1 სტამბის შეგვ. № 2  
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14  
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ თესეტ-მანქანაზე.



# ჩვენი კავკასი



მხენძარი  
კაკულაშვილი

ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში და უხვად ვიძიებთ იმ ბრძოლების წყაროს, რომელსაც მამაცი და ხალხისათვის თავდადებული წინაპრები წარსულში აწარმოებდნენ.

ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ გმირ რევოლუციონერთა რიცხვს ეკუთვნის ლადო (ვლადიმერ) ზაქარიას-ძე კაცხოველი, რომლის დაბადების 75 წლისთავი 14 იანვარს შესრულდა. ლადო თავისი ხალხის ნამდვილი გმირი იყო. იგი დაიბადა 1878 წელს ქართლში. სოფელ ტყვიავში. ეს სოფელი დიდი სტალინის სამშობლო ქალაქ გორიდან 22 კილომეტრითაა დაშორებული. ლადო მეტოეთ შვილი იყო ოჯახში. მას ფუფუნებით არ გაუტარებია თავისი ბავშვობა და ყრობა.

ბავშვობის წლებშივე იგი მოწმე იყო გლეხკაცთა არაერთგზის აწიოებისა.

1883 წლის სექტემბერს ლადო გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. აქ ნიჭიერი ბავშვი საუკეთესო მოსწავლეთა რიცხვში ითვლებოდა. იგი გატაცებით ეწაფებოდა წიგნების კითხვას. მალე ნიჭიერი და ცხოვრებას ღრმად დაკვირვებულ ლადო სავალდებულო საგნების სწავლის გარდა იწყებს აკრძალული, რევოლუციური წიგნების კითხვას. ხოლო მეოთხე კლასიდან მან დაიწყო არალეგალური ხელნაწერი სასკოლო შურნალის გამოცემაც. ეს შურნალი სასწავლებლის რე-

აქციონური აღმინისტრაციის აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართავდა თავის მახვილ კალამს. აქ ლადო პირველად გაცნო ნორჩ სოსო ჯულაშვილს.

ამის შემდეგ არ შეწყვეტილა ლადოს მეგობრობა და თანამშრომლობა ამხანაგ სტალინთან. ლადო იყო სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, მგზნებარე რევოლუციონერი, ლენინის იდეების პროპაგანდისტი, ცნობილი იატაკქვეშელი. დიდ სტალინთან ერთად იგი ამიერკავკასიაში იბრძოდა მშრომელთა მტრების წინააღმდეგ. ლადომ ქ. ბაქოში 1901 წელს თბილისის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი ჯგუფის დახმარებით მოაწყო არალეგალური სტამბა. სადაც იბეჭდებოდა სტალინური გაზეთი „ბრძოლა“ და სხვა რევოლუციური ფურცლები.

ლადო კაცხოველი 1902 წელს მეფის სატრაპებმა დააპატიმრეს; იგი მოთავსებული იყო ჯერ ბაქოს, ხოლო შემდეგ თბილისის (მეღეხი) საპატიმროებში, სადაც კვლავ განაგრძობდა რევოლუციურ ბრძოლას.

1903 წლის 17 აგვისტოს მეფის ჯალათებმა ტყვიით მოკლეს ლადო კაცხოველი მეტეხის ციხის საკანში.



სამოქალაქო ომის  
გმირი

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო განსაცდელში იყო. ჰქუხდა სამოქალაქო ომი. პროლეტარიატი, ახალგაზრდა საბჭოთა არმია ლენინისა და სტალინის გენიალური წინამძღოლობით გმი-

რულად იბრძოდა შემსრულებელი მტრების — უცხოელ მშვიდობისა და თვითგარდაცემის ბანდების წინააღმდეგ. ამ ომში ჩვენი ხალხის ბევრმა ერთგულმა შვილმა უკვდავყო თავისი სახელი. ერთ-ერთი მათგანია ალექსანდრე იაკობს-ძე პარხომენკო.

ღარიბი, უმიწაწველი უკრაინელი გლეხის ბიჭუნა მალე სტოვებს თავის მშობლიურ ხოფელს მაკაროვ იარის (ამჟამად სოფ. პარხომენკო) და ლუკმაპურის საზოგადოებრივ შედის მუშად ლუგანსკის (ამჟამად ვოროშილოვგრადის) ორთქლმავალ-მშენებელ ქარხანაში. აქ იგი გატაცებით ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. მალე გაეცნო კ. ე. ვოროშილოვს, შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. რევოლუციური მუშაობისათვის პარხომენკო მრავალი წლის მანძილზე მეფის საპრობილეტში იყო მომწყვდეული.

სამოქალაქო ომის პირველხვე — 1918 წელს, პარხომენკო კ. ე. ვოროშილოვთან ერთად ხელმძღვანელობს მეხუთე არმიის ლეგენდარულ ლაშქრობას გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ. პარხომენკო ამხანაგმა სტალინმა, რომელიც მაშინ ცარიცინის დაცვის ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, გაგზავნა ლენინთან, მოსკოვში; ლენინის დახმარებით პარხომენკომ შექმნილი ცარიცინის დაცვისათვის საპრობილეტის საბრძოლო საჭურველის ჩატანა ცარიცინში.

1920 წელს, პოლონელი პანების წინააღმდეგ ბრძოლაში პარხომენკო მეთაურობდა მე-14 საკავალერიო დივიზიას. ამ დივიზიით პარხომენკომ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა ვრანგელს.

პარხომენკო 1921 წლის 3 იანვარს დაიღუპა გმირული სიკვდილით თვითგარდაცემის მხნოს ბანდების წინააღმდეგ უთანასწორო ხელჩართულ ბრძოლაში. სახელოვანი დივიზიის მეთაურის დაღუპვის გამო შურისძიებით აღვსილმა წითელმა მებრძოლებმა მუსხრის ვაჟულს მახნოს ბანდებს.



გულ. მთავარი ს-რა